

საქართველოს
საზოგადოებრივი
საბჭო

№ III



1894



ზ ი ნ ა ა რ ს ი

ყოთრნალის „ჯეჯილი“-სა

I. გაზაფხული, ლექსი—ცახელის 3

II. ვანეს ბობოლა, მოთხრობა—თ. წახიკაშვილისა 4

III. ლოცვა, —შიო ძღვიძელისა 14

IV ზღვის ავაზაკები, ფრანგულიდან ა.-თ. წ -ლისა 16

V დიდედის ნანა—ხალხური 23

XI კეთილი პეტრე, საყმაწვილო ამბავი—დუტუ ძეგრელისა 24

VII მომავალი ექიმი, მოთხრობა—თ. ჩუხვიძლისა 28

VIII ზღაპარი 35

IX თვალი პატიოსანი, ლექსი—ჯაკასა 37

X სურათები ფრინველთა ცხოვრებიდან II ილიკასი 36

XI სამსონ ძლიერი, —წყაღტუბელისა 46


XII კალის ამბავი, —თამა სსათიანისა 50

XIII მონადირე, —იაკობ სვიმონიძისა 55

XIV გლეხი და სიკედელი, —ეზოპისა 57

VX საშიში მებობელი 57

XVI ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსი, ზმა, აკროსტიხი, შარადა, რებუსი და სხვა 58



ჟეჯილი

საქმეაწვილო ნახატებიანი

ეურნალი

იზარდე, მწკანე ჯეჯილო,
დაპურდი, განდი უანო!..
ი. დ.

№ III

წელიწადი მესამე



ბუილისი

სტამბა მ. დ. როტინანცისა || Тип. М. Д. Ротинянца. Гол. пр., д. № 41.

1894.



გ ა შ ა ფ ხ უ ლ ი


(სურათი)

სას ლაქვარდოვანს მზე აკაშკაშებს,
 სხივები ქვეყნად იფანტებიან
 და დილის ნამნი მათი ამბორით
 მორცხვად ფოთლებზე მიმოკრთებიან.
 აყვავილებულს ხეივანებში
 დაგუგუნობენ გრონი ფუტკრისა,
 სტენენ ფრინველნი, გახარებულნი,
 მესადგურენი სხვა-და-სხვა მხრისა.
 ყელ-სევადიან მტრედს მტრედი უმღერს,
 გერიტს გერიტი ეტრფის, ხით ხეზე მფრენი,
 მოაშიყობენ, მოკიკიკებენ

189


მფრინავე-ფრთოსნები მოღუღუნენი,
 ზურმუხტოვანი ველი ფურჩქნარობს,
 მობიბინებენ მწვანე ჭალები,
 ტრიალ, ზუილით მიმოფრინავენ
 ბუზი, პეპელა, ბუზანკალები.
 ბუჩქნარს ნახირი გადასევია,
 ველს აფერადებს ცხვრების ფარები,
 ცელქობს ბატკნები, დარბიან თხები,
 ხტიან კრავები მომროკავები.
 აქ მთესვარი სთესს, იქაც მწენელი ხნავს
 და ილესება სახნის საკვეთი,
 ერთად ირევა დილის ნამები
 და ოფლი, მუშის შუბლით ნაწვეთი.
 იქ კი ვაზები გამოფურჩქნილან,
 ნორჩი ტვენებუ ყვაეილდებიან
 და მათ ფუტკრები ზუილ-გუგუნით
 საყნოს-საწუწნად ზედ ედებიან.
 აქ ტოროლა სტვენს, იქ შაში გლობს,
 იქ მღერს შროშანი, იქ ბუღბუღლია...
 ამ დროს ვინ ასწერს, ამ დროს ვინ აქებს!
 ეს საქართველოს გაზაფხულია.

ცახელი



ვ ა ნ ე ს ბ ო ბ ო ლ ა

J



იდმარსვის შავი ორშაბათია. სოფლის ჰატარა ბიჭებს ეყენი მოურთავთ, სოფელ-სოფელ დადიან ჰურისა და ღვინის მოსაგროვებლად. დიდი დავიღარაბა, თამაშობა და ძღვერა აქვთ. მესობლის შაქარამ ჩვენებიანთ ვანესაც შესძახა:

— ვანე, წამო ეყენი დავატაროთ. მერე ეველანი არიფანაზე დავსხდეთ.

— დაცადე ცოტა, ამ საათში მოვალ! მოესმა სახლიდან.

შაქარა კარებს აეტუსა და ეყენის ფიქრში გაერთო.

— არ მოდისარ, ვანე? შენ კელი, შესძახა კიდევ შაქარამ.

— მოდი შაქრო, ცოტა საქმე მაქვს, ჯერ ამას მოკრჩეთ და მერე წავიდეთ, გამოჰძახა ვანემ.

შაქრომ შეადო მიწის ხრუწუნში *) კარები, ჰატარა ვიწრო კედლებ შუა გაიარა და განათებულ სახლში გავი-

*) ხრუწუნი — მაწაში ჩადგმულ სახლსა ჰქვია.



და. ვანეს სახლს ბელტის კედლები ჰქონდა და ბოხოს ქუდივით წონი ბანი ედგა. სინათლე რივიანად ჩამოდინდა.

მარცხნივ ტანტი იდგა, ზედ ჭილობი იყო გაღებულნილი. ქვევით, კედელთან, კარების ახლო, გაშვებული ჰურის კიდობანი იდგა. ტანტს ზემოთ თავზე განუხებული საბანი, უსაურო ბალიში და სანირე დასეული ლეიბი იდგა.

ვანე ტანტზე იჯდა, წინ მხვრები ეწეო და ხელში ნემსი და ძაფი ეჭირა.

შაქრო შვიდა, არც გამარჯვება უთქვამს, არც სმამოუღია, მივიდა და ჩუმად მიეუღა ვანეს ახლო ტანტსა. შაქრო ისევ ეენსე ფიქრობდა.

— დაჯექ, კაცო, ერთი ჯერ ეს ბობოლა შევეკრით და მერე წავიდეთ.

— ძალიან კარგი იქნება, მოუწონა შაქრომაც.

ორივენი დასდნენ. ნემსით ძალზე დაიწეეს მუშაობა. ძონძი ძონძს მიაკერეს, მხვარი მხვარს დააკონკეს.

ცოტა ხანს უკან ჰარკი მხათ იყო. შაქრუა კერასე ნაცარსა ჰხვეტდა და ჰქრიდა ჰარკში. ჰარკუჭანა გატენეს, სულ გოჭივით გაჭიკენეს.

— აბა, ვანე, ფთები მოიტანე. შეურჭოთ და ჩამოკვიდოთ.

ვანემ ზემოთ უურეში მიიბინა. იქ რაღაც ეუთს დაუწეო ბრძოლა. ამოაბუდა, ამოუარა, ამოარჩინა შვიდი ჰური და მოიტანა. შემოურიკეს ჰარკუჭანას ირგვლივ ბორბალივით; მოაბეს ბაწარი და მოახვიეს გველ ჯოხსე.

ცოტახანს უკან ბობოლა ფთებ-გაძლილი ბორასავით ბანში ამაყად ტრიალებდა და ბრუნავდა ხან წადმა და ხან უკუდმა. ვანე და შაქრო სინარულით ფეხსე აღარ იღვენ.

— აბა, ახლა კი წავიდეთ, დროა, დაგვიგვიანდება სხვა ევენები დაივლიან, ჩვენ აღარავინ რას მოგვცემს; უთხრა შაქრომ. ერთი საღვინე გექნება რამე, ისიც წა-მოიღე.

შუადღე მოახლოვებული იქნებოდა, ათი-თორმეტი ჰატარა ბიჭი დასეული დაირით და ჰატარა ექვსშაურიანი დასჯღრეული მუსიკით კარ-კარ დადიოდენ. დაირას აბრა-ხუნებდენ და ბუზიკას საცოდავად აჭევიტინებდენ. ვერც ევენი დაიკვანებდა თავის მორთულობას. პირსე შაქრის თეთრი სქელი ქაღალდი ჰქონდა აფარებული, ქაღალდში ცხვირისა და თვალების ადგილი იყო გამოხეული. ტანსე დასეული ჩონხ ეცვა და თავსედაც ძველი ჩაჩი ჰქონდა ჩამოცმული.

II

— ვისთან უნდა დავსდეთ, ბიჭებო? იკითხა ვილცამ.

— ჩვენსა დავსდეთ, ჩვენსა, იძახდა ერთი.

— შენ გენაცვალე ჩვენსა დავსდეთ, ესვეწებოდა მე-ორე.

— არა, ძმაო, თქვენსა ვერ დავსდებით, თქვენსა ბე-ვრი კაცებია; შენი ძია ძალიან რეშინანი კაცია. ის კი-დეც გამოგვრეკს.

— ჩვენსა დავსდეთ, შაქრო, დედაჩემი ვეკლავურს გა-გვიკეთებს, ესვეწებოდა მესამე.



-- არა, ვერც თქვენსა დავსხდებით, თქვენ ავი ძაღლუ-
ბი გუავთ.

— მაშ ვისთანლა დავსხდეთ?

— აი, ვანეს სახლში დავსხდეთ, არც ძაღლი ჭეავეს,
ძამაც სხვაგან არის, ჩვენს ნებასე ვიქნებით.

ძალიან კარგი იქნება; ვანესთან სჯობია, ვანესთან და-
ვსხდეთ, დაეთანხმენ ეველანი.

III

სადამო ხანსე ვანეს სახლში რო შეგვესედნა, კაი ამბავს
დავინახავდით. ბიჭები ფაცა-ფუცში იყვენ. სოკი ბრინჯს
არჩევდა, სოკი წვალს აცხელებდა, შეძას უკეთებდენ, ჯა-
მებსა რეცხდენ, ღვინის ჭიქასა წმენდდენ. ერთი საღვინე
ღვინო ლიც-ლიცი ეღვათ. დუქნიდან სამი შაურის ბრინჯი
და ზეთი წამოიღეს; ერთი კანკიკი დაუკლდათ და ისიც
გივას ძიამ დაადო. ფლაგის შიშინს ნერწვევების ელავით
შესცქეროდენ. ზეთის სული ცხვირში მადს უღვიძებდა.

— იმი, იმი, იმი. რა კარგია! ამოურიან ფლავს ვანემ,
რომელსაც ზირში ნერწვევი მოსდიოდა. ოჰ, რა კაი, გემო
ექნება! ე დალოცვილი იანვრის თოვლივით თეთრი არ გა-
დადის!

შესე, შესე, ბრინჯის ძარცვლები აღდგომის ბატკე-
ბივით არ დაბეროლან! დაილოცა შენი გამჩენი!

მეორესაც მოუნდა ფლაგის დანახვა, მესამესაც, მეო-
თხესაც; შემოესვიენ ქვაბსა და მადიანად ჩასცქეროდენ გემ-
რიელს ფლავსა.

— მოხარბულია ღმერთმანი, ძირი დაწვევა, კადმო-
ვდგათ, ურჩია ერთმა. ეველანი დათანხმდენ.

კერძები თროლმა დაიდვა. ერთი შეღვინეთ დადვა. თამადაც ამოიჩინეს.

სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჭევა. ჭიქებს თითქოს ჭლოკავენო ისე ცლიდენ.

IV

გათენებამ მოატანა. სრუწუნში ბარაქიანად ბნელა. ვანეს დედას ძილი რაღაცამ გაუფრთხო.

ურთი დაუგდო. ვანე ლოკინში ტრიალებს, ოსრავს, იწევს, რაღაცას ჯიჯღინებს.

— „დაიცა, დაცა, შენ დაიჭირე, მე დაგვრავ, ძალიან აფარებ ხელსა, წვერი გამოუჩინე, თითებს სომ ვერ დაგვკრავ“, ლანარაკობს ვანე.

— „მოიცა, კაცო, კვერცხი არ გამოტეხო! მოიტა კაცო, მომეციოი“... და თან კენესის ვანე, ოსრავს.

— რა არის შვილო, გენაცვალოს დედა, რათა სტირი, სიხმარში სომ არაფერი ნახე, ეკითხება დედა.

— აა, ეეე, უ, უ, აგძელებს ვანე, თან ისევ მინავს.


— რასა ხედავს ვანე, რამ შეამწუნა, ასე რათა ტირის და შფოთავს.

V

ვანე შეცქერის ბობოლასა, შვიდი ფთა ურჭვია, სთვლის ვანეცა, ბიჭო. შვიდი კი არა, ექვსი-ღა აქვს, თვლის თითებზე, ერთი კვირა გასულა. თითქო ექვსი იყო. ამას ხუთი-ღა აქვს. ეე ღმერთო, რა თანდათან აკლდება, რა ჩქარა მიიწარება ეს ძარხვა!

ორი კვირა რა უცებ გავიდა. თვლის კიდევ დღეებსა.

რა იცის, როდის რა დღეა, ბობოლა იმიტომ დაჭკიდდა, რომ იმან უნდა გააკებინოს.



ბიჭოს, ოთხის მეტი აღარა აქვს ფთა ბობოლასა, მას ოთხშაფათს შუა მარწვა იქნება. მერე ნახავ, როგორ ჩქარა წავა ეს მარწვა. მკონი ცხენივით მიაჭენებდეს...

შუამარწვაც გავიდა; მიწის დღეები, გადის კვირეები, ბობოლას ორი ფთაღა დაწნა. ვანე ცოტა მოწეებით არის. ეს ვერანა, ლამის დიდმარწვა გაიპაროს და მამას კი ჯერ იმისთვის საახალუსე არ უყიდნია. ბზობას შაქარასაც ახალი ახალუსი ექნება, გიგასაც, მიტრასაც, სისოსაც. ამას კი არა აქვს ჯერ. მინც სომ ისინიც არ ჩაიციენ აღდგომამდის, მანამდის იქნება მეც მამიტანონ...

ბზობაც მოვიდა. ვანემ ერთი მუჭა აუვავებული ბზა მოიტანა სახლში საუდრიდან; თვლის ევაველებს დედა.

ეე, რა კარგი ჭირნახული მოგვივა, რა ჰურიანი ბზა არის.

— კარგი ბზა მოვიტანე, დედა, დიაკვანმა თქვა: რა კარგი ბედისა ეოფილა ეს, ბიჭო, ბედი შექნება ჭირნახულისა, განა? ეკითხებოდნა დედას ვანე.

— დედასაც მაგიტომ უუვარწნარ, კენაცვალოს დედა, რომ მაგეთი კარგი შეეგნარ, ეუბნება დედა. მოდი რა მაქვს შენთვის შენახული, და გადმოიღო დედამ თაროდან ჯამით კარგი მსუქანი ზურციელის ნაჭერი.

იჭი, ჭი, რა კარგი იყო! რა გემრიელი!

სჭამს ვანე, აუოლებს თან მჭადსა, ილოკავს თითებს, ჭელაზავს გემრიელს ლუკმებს, მაგრამ არ აძლებს როგორღაც.

აი, შეჭამა კიდევ სრულებით, თითებიც გაილოკა, მაგრამ ისევა შიან. ცოტა დიდი მინც გამოეგზავნათ ბატონიანთ, ან დედას შეენახა ცოტა მეტი. მაგრამ დედას სომ სრულებით არც კი უჭამია, პირიც არ გაუსხნილე

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

ბია ამ ბოზობა დღეს, სულ ვანემ შეჭამა, დედან არაფერ
ში შეუნახა. რცხვენია ვანესა, რომ ასე იმუნახა და
ერთი ჩიჩიცი არ მისცა დედან, რცხვენია, მაგრამ ასლა
რალა იქნება. კვლავ კი აღარ შეჭამს, დედან შეუნახავს.

ბოზობაც გავიდა. ბობოლას ერთი ფთაღა აქვს გაშვერილი.
ვანეს სახალუსეც უყიდეს. აშურებს დედან ვანე, ჩქარა
შეუკეროს ახალუსი, წეალსე თვითონ დარბის, ნახირში
პროხა თვითონ გაჭეავს, დედან ესაქმება, ვეელაფერს მა-
რდად უგონებს.

დიდი ხუთმაბათისათვის ვანეს ახალუსი მსათ არის.
დუგები აკლდა, ისიც დილითვე დააკერა დედამ. ჩაიცვა
ვანემ; ტანსე რა კარგად დაადგა.

ხვალ წითელი ჰარასკეგია, რამდენს კვერცხებს შე-
ღებავს!

წითელი ჰარასკეგია, კერასე ცეცხლი გუზგუზებს,
ქვამში წეალი ხუშხუშებს, კვერცხები ისარშება. ბანში ბო-
ბოლა საცოდავად ტრიალებს ბოლისაგან, ერთი ფთა-ღა
გაუშვერია. ის ფთაც გამოვარდნასეა. ექვსი ნახვრეტიდან
თეთრი ნაცარი გამოდის.

ვანე სისარულით ფეხსე აღარა დგას. არჩევს კერ-
კეტი კვერცხებს, იმინჯავს კბილსე, რა მაგარია, მოლეუ-
ლი დედლის დაღებული იქნება. აბა, ერთი ამას დამიკრან
თუ სულ არ დაუმსწვრია ვეელასა. ეს დიდი კვერცხი კი
ფუფე იქნება, ხმაც ისეთი აქვს. თან ჯიბებს იმინჯავს.
კაი დიდრონებია; ბლომად კვერცხები ჩავა, მარჯვენა ჯი-
ბეში სულ მთელებს ჩაიწეობს, მარცხენაში კი დამტვრეუ-
ლებს.

თან მსუქანი ქადა და სორცი აგონდება. ჰირში ნერწევი



მოსდის. რაღა შორს არის, დღეს არაფერი, სვალ შაბათი და სეკ რო გათენდება, ჰირსაც გავისწილებთ.

„დღეს წითელი ჰარასკევი,
 სვალ შაბათი შავდება,
 სვალე სეკ რო კვირა მოვა,
 ეელი ჩაიპოხებაო“

მღერის ვანე.

ჰარასკევიც დაღამდა. კვერცხების ლებვანში ბრწისილები და თითებიც შეიღება. როგორ იქნება, აღდგომას უნდა ესინაროს, მღვდელი რას ეტყვის, წითელ ხელებიანი სომ ეკლესიაში ვერ შევა.

აი, დაღამდა შაბათიც. ვანემ ახალი ახალისიც ჩაიცვა, ახალი ქაღალცი და წინდები. მოირთო, მოიკაზმა, ნეფეს დაემსგავსა. ვახშამიც არ უჭამია, სვალ უნდა ესინაროს, ტან გაუსდელი დაწვა ლოგინსე, ლიტანიასე სომ დაუკვიანდა, რომ განიხადოს, სანამ ჩაიკვამს. მერე წინდები ისეთი ვიწროებია.

დაიძინა ვანემ, მაგრამ, ვაი იმ დაძინებას! სულ ლიტონია ესმანება, წითელი კვერცხები, განადებული სათლები.

ვითომ დასძინებია, სარები დარეკილა, ხალხი სულ მისულა, მხოლოდ ის დარჩენილა. ტირის ვანე, ღრიალებს, ჰირ დაუბანელი გარბის საუდარშია. აკი, კვერცხები შინ დარჩენია.

ოჰ, ოჰ, რა უბედო ვარ. რაღა მეშველება გულ-ამომჯდარი კუნისის, გმინავს. ღმერთმა შეიბრალა. ლიტონია ჯერ ადრეა, მღვდელი არ მოსულა. ვანე სინარულით სასაღში ბრუნდება რაც ძალი და ღონე აქვს უკან მო-

რბის.—კვერცხები მომაკებე, დედა, კვერცხები. ეძახის ისევე გზიდან დედას.

დედას არ ესმის, არ გამოდის.

„დედა! დედა!“ უვირის ვანე, აწეება კარებსა. კარები მძიმედ იღება, ბნელა, დედა არსად ჰჩანს. სასოწარკვეთილი ვანე რაც ძალი და ღონე აქვს უვირის დედასა და ამ უვირილზე გამოეფვიძება.

კათენებულა, ბანიდან ფანტელ-ფანტელა თოვლს ჰქვრის, კარეთ ქარი გრიანებს და კედლებში ბუსივით შემობზუნის. ისედება აქეთ-იქით, დაისედა ტანსე, ისევე ის ძველი ახალუსი, ჯიბეებიც ცარიელი, ძართლაც გაუხდელს დასძინებო.

თ. რაზიკაშვილი



ლოცვა


(ლიბაძე)



იხუმე არის ოთახში,
 მკრთალად ანათებს სანთელი,
 ლოცულობს წენარად სატის წინ
 ბავში სახე ჰირ-ნათელი:
 „ღმერთო მიცოცსლე დედ-მამა
 და მიდღეგრძელე ლაღაო
 და გაგვითენე მშვიდობით
 დიღა მზიანი სუბაღაო.
 მომეცი ნიჭი სწავლისა
 მეცნიერების სურვილი,
 კონება განათლებული
 ცოდნით გარ-შემობურვილი.
 გაძღელმა უთხრა: დავედე
 წამლად შენს ქორფა ენასა
 წინ უძევს ფართო გზა დიდი
 შენსა სურვილსა ლხენასა.
 მაგრამ სწვებსედაც იფიქრე
 ზატარავ გენაცვლებიო
 ნუ დაივიწყებ, რომ ქვეყნად
 ჭცსოვრებენ ტანჯულებიო.

რამდენი შენსე ჰატარა
 და ცოტაც შენსე სნიერი
 დაუნაგვრია ობლობას
 და დადის მწეურვალ-მშიერი.
 ილოცე მათთვის, მიაჰვარ
 ზეცას ჰაწია თვალები
 და შეაბრალე მაცხოვარს
 ბედისგან განაწვებები.
 კვალად ლოცულობს ჰატარა
 და დმერთს ავედრებს ობლებსა
 ხელ მოკლე დარბი ღატაკებს
 და უილაჯო მშობლებსა.

შ. მღვიმელი.





ზღვის ავაზაკები



ღვის პირას, ერთ ქვიშიან ადგილს ჩასაფრდა ავაზაკების გროვა. მოადგებოდენ თუ არა ამ ადგილს გზას ამცდარი გემები, ავაზაკები სწრაფად დაუხვდებოდენ, წაართმევდენ, რაც რამ ებადათ, და ხშირად ცოცხალსაც არ გაუშვებდენ. ადგილობრივი

სახელმწიფო თვალს ვერ ადევნებდა, რადგან ავაზაკები მარჯვედ იმალებოდენ იქვე მახლობელს ფიჭვნარში. მართალია ზღვაზე კანდელი იყო ამართული, რომ ბნელს და ქარიშხალიან ღამეში გემებისთვის გზა ეჩვენებინათ, მაგრამ კანდელი ხშირად ჩაბნელებული იყო, რადგან ავაზაკები მეფარნეს არ აყენებდენ, ხან მოჰკლავდენ, ხან გზას შეუკრაიდენ და რომ ნაგები უფრო ადვილად ეგდოთ ხელში, თვითონ ავაზები დაანთებდენ ზღვის პირას დიდ ცეცხლს, ძროხებს ყელზე შეუბამდენ ანთებულ ფარნებს, რომ გაეელ-გამოეელოთ ზღვის პირას და ყველა ამაებით იტყუებდენ გემებს.

ამ ავაზაკების უღმერთო მოქმედების ხმა ყველგან მოდებული იყო. ერთი ქოხი არ იყო, რომ ღამ-ღამეობით არ ეამბნათ ამ ავაზაკებზე, რომელნიც ჩუმ-ჩუმათ, უსვინილისოთ, იტყუებდენ გაჭირებულ ხალხს. რასაკვირველია ამ ამბავში ბევრი გადამეტებული იყო და მსმენლებს თმები ყალყზე უდგებოდათ. ყმაწვილებს ხომ რაღა, ღამე ძილი არ მოსდიოდათ.

იყო ერთი მხნე და გამრჯელი წვრილ-შვილიანი ოჯახი, რომელშიაც გამოჩნდა ერთი ყოჩაღი ყმაწვილი სახელად ტელემაკი; ამას თავში მოუვიდა ერთი გამბედავი აზრი, რომ დიდებსაც გაუჭირდებოდათ მისი ასრულება.

— რატომ არ მოიყრიტ ერთად თავს და წინააღმდეგობას არ

გაუწევთ იმ საძაგლებს? მე ხომ პატარა ვარ, თუ რამეში გამოიმყენებთ, სულით და გულით დაგეხმარებით.

ყველამ გოაცებით შეხედა ყმაწვილს. მისმა გაბედვით ლაპარაკმა ჯერ ყველა აღტაცებაში მოიყვანა. მერე, როცა დაფიქრდენ, არავისთვის სასიამოვნო აღარ შეიქნა ხიუთაში თავის გაბმა, დროსაც დაჰკარგავენ. სიგიჟეთ მიიჩნიეს თავის გამომეტება და ყველამ უარი თქვა.

— თუ მართებლობის მოხელეები ვერ მოერევიან ავაზაკებს, ჩვენ—სოფლის მცხოვრებლები რას გავაწყობთ, რომლებსაც ხეირიანი თოფ-იარაღიც არა გვაქვს. ეგ მართებლობის საქმეა. მაშ რისთვის ვიძლევიტ ხარჯს?

ტელემაკმა აღარა უთხრა რა, ხმა არ ამოიღო.

მაგრამ დღე და ღამე სულ ამაზე ფიქრობდა. ყმაწვილის თავში ამის მეტი აზრი აღარა ტრიალებდა რა: უნდა გზა დაბნეული გემები გადაერჩინა უბედურებას. მისთვის აღარც ჭამა და სმა იყო რიგიანი, აღარც თამაშობა, აღარც დროს გატარება.

ფიქრებმა სრულებით განიტაცეს ტელემაკი!

ის დაეძებდა ამხანაგებს, ვისაც კი შეეძლო ამასთან ერთად იმის აზრების განხორციელება.

ბევრ ძებნას შემდეგ სკოლის ამხანაგებში მხოლოდ ერთი ამხანაგი მიიმხრო მაზე ორი წლით დიდა, რომელსაც თუ დახმარება არ შეეძლო თანაგრძობას მაინც აღმოუჩინდა.

ტელემაკის მჭევრ-მეტყველობამ და გამბედაობამ სრულიად მიიზიდა ეს ამხანაგი—ანდრია.

ანდრია და ტელემაკი შეერთდნენ, ფიცა დადვეს, რომ ყოველი ღონისძიება იხმარონ და ავაზაკების საიდუმლო გადაწყვეტილებას წინააღმდეგობა გაუწიონ.

მართალია ჯამუშობა საშიში იყო, შეეძლოთ თავი ემსხვერპლათ ამ საქმისთვის, მაგრამ ამასთანავე რა ბედნიერება მოელოდათ, თუ კი ამათი მეოხებით უბედურებას გადაარჩებოდა რომელიმე გემი.

ამ ყმაწვილებს აღრევე თვალწინ უდგათ სიკვდილისაგან გადარჩენილების სიხარული და ღოცვა-კურთხევა და ეს ორკეცათ ამხნევებდა ამათ.

ერთხელ სადილს შემდეგ ტელემაკი და ანდრია გავიდნენ ტყის



ბოლოს, ზღვის პირას და იქ ქვიშის გორაკის უკან მიიმალენ, ამ დროს შორიდან მოესმათ ორი კაცის ლაპარაკი.

ყმაწვილებმა განაბეს სული და სმენათ გადიქცენ.

— დღეს რა ნაირი ზენა ქარი უბერავს, მოისმა ერთის ხმა.

— თუ ქარი არ ჩაეარდება, ღამე ცეცხლი უნდა დაეანთოთ.

— უბასუხა მეორემ.

— მაგრამ ისე კი უნდა მოეახერხოთ, რომ კანდელის ფარანი არ ენთოს, მაშინ გემები უფრო ადვილად მოტყუებებიან.

— ეგ ძნელი არ არის.

— მესმის, რასაც ამბობ.

— რასა?

— უნდა მეფარნეს გავაქრობინოთ ფარანი.

— წინააღმდეგობა რომ გავგიწიოს?

— მაშინ მოგკლათ.

ამ სიტყვებმა ყმაწვილები აათრთოლეს.

— მოკვლა საშიშია, თქვა მეორემ.

— რათა? ერთი კეტი კისერში და იმისი ჯანი.

გონებას სრულიად დაჰკარგავს და სანამ გამოფხიზლდება და გონებაში ჩაეარდება ჩვენი საქმეც გარიგდება. ხვალ მთელი ზღვის პირი მდიდარი ნაშოვრით სავსე იქნება.

— მეფარნე სად უნდა ვიპოვოთ?

— ყოველ დღე, მზის ჩასვლის დროს, ტყეში გაივლის, სოფლიდან მოაქვს ხოლმე თავისი საკძალი. ტყიდან რომ გამოვა, ქვიშაიან გორაკებზე გადივლის და ზღვის ნაპირ-ნაპირ წაევა. კაცმა უნდა უთვალთვალოს და შეხედება.

— კარგი იქნება, რომ დაგვენდეს და არ მოგკლათ.

ამ დროს ყმაწვილებს შეეშინდათ არ გვიპოვნონო და გაძვრენ წყლის ნაპირას.

დაფიქრდენ ჩვენი ყმაწვილები: ასლა როგორ უშველონ მეფარნეს! საცა არის მზეც ჩაევა; ეინ იცის, ეს კაცი კიდევ ბინაზეა, თუ საკძლისთვის წაეიდა სოფელში? კანდელი კარგა შორს არი, ნახევარი საათის სიარული მოუწდება კაცს იქ მისვლამდის. და მერე იქ რომ არ დაუხვდეს მეფარნე?

საშინელი ქარი ჰქროდა და გლეჯდა არე-მარეს. ზღვის ნაპირას მოისმოდა ზვირთების გრიალი, ტალღები ასკდებოდნენ ქვიშის გორაკებს და გაჰქონდათ ხმაურობა. ზღვა შფოთავდა, ღელავდა,

შორიდან მოჩნდა გემის შეკრული აფრები. ცაში ღრუბლები ნაკუწ-ნაკუწათ იგლიჯებოდენ და კვამლივით იფანტებოდენ.

ჰწუხდა ეს, ორი პატარა არსება და არ იცოდენ, როგორ ეშველათ საქმისთვის. ბოლოს ანდრიამ ამოიღო ხმა.

— შენ გაიქე, ტელემაკ, სოფელში, მოაგროვე ხალხი, წამოიყვანე და დაიძალეთ ტყეში. როდესაც დადგება ღამე და ავაზაკები დაანთებენ ცეცხლს გემების მოსატყუებლათ — უეცრად კიყინით დავცით და გაუქრეთ ცეცხლი. გემის, ძმაო, ხომ კარგა გაიგე?

— შენა? შენ რაღას იქ? — დაეკითხა ნაღელიანად ტელემაკი.

— მე?.. მე გავიქცევი მეფარნესაკენ. თუ ის თავის ბინაზე დამიხვდა, გემები გადაჩებთან — სინათლეზე გზას გაიგნებენ, რე თუ იქ არ დამიხვდა, მაშინ ეგ ჩემი საქმეა, მე ვიცი, როგორც მოვიქცევი. მშვიდობით! ანდრიას თავში რაღაც ახრი უტრიალებდა და არ გაამხილა. ყმაწვილები განშორდენ ერთმანეთს.

ტელემაკმა მოჰკურცხლა სოფლისკენ, ანდრია ვაეშურა იქით მხარეს, საცა ეგულებოდა კანდელი. ქარი უწყალოდ აყრიდა ყმაწვილებს ქეიშას და ეწვოდათ ტიტველა ფეხები. ორივენი გულ-აღვლებულნი მირბოდენ თავიანთ საქმეზე.

ტელემაკმა ქაქანით, ოფლში გაწურულმა, მიიბრინა სოფელში. ყველას უამბობდა, რაც გაიგო ავაზაკებისაგან, ყველას კარებებს უმტვრევდა და სთხოვდა შევლას.

კაცები გასულიყვენ მინდორში სამუშაოდ, დედაკაცები შიშით გაოცებულნი ყურს უგდებდენ და შეილებს ნებას არ აძლევდენ, რომ ამ თავხედ ბავშს გაჰყოლოდენ.

ტელემაკმა იცოდა, რომ მისთვის ყოველი წამი ძვირფასია და ჩაგონებას და დაწერილებით საქმის ახსნას ვერ ასწრებდა. ბოლოს მისი ჯაფა უნაყოფო გამოდგა, — ერთიც არაინ წაჰყვა.

სალამომ მოატანა, მთელი საათი ტყუილ-უბრალოდ დაეკარგა. ტელემაკმა მაინც გული არ გაიტენა და ისევ თავის გადაწყვეტილებას იდგა: როგორც დაჰპირდა ანდრიას უნდა უთუოდ ავაზაკების დანთებული ზღვის პირას ცეცხლი გაექრო.

რადგან ყველას ეშინოდა და არ მისდევდენ, თითონ შეუდგა გზას მარტოდ-მარტო.

ტელემაკი როგორც სირბილით შევარდა სოფელში, ისევე სირბილით გამოვარდა სოფლიდან. გზა-გზა სუო თავის ამხანაგზე ფი-



ქრობდა, რომელიც აქამდის უნდა მისულიყო კანდელითან და გაეფრთხილებინა მეფარნე.

ტელემაკი უნდა ამოფარებოდა რამელსამე ქვიშიან გორაკს და იქიდან ეთვალეურებინა ავაზაკების მოქმედება.

როდესაც დაღალული ყმაწვილი ზღვის პირას მიუახლოვდა, უცბათ კაცის კენესა შემოესმა,


ყმაწვილი კანკალმა აიტანა...

ამდროს მზე ჩამოვიდა ზღვაში, სიბნელებმ არე-მარე მოიცვა, ხოლო ღრუბლის ერთი ნაჭერი სისხლის ფრად განათებული იყო.

ტელემაკი სმენათ გადიქვა... მოისმა მეორედ საბრალო კენესა.

ტელემაკი გაბედულად მიუახლოვდა იმ ადგილს, საიდანაც კენესა მოისმოდა და დაინახა გაშობილი კაცი, რომელიც ხრიალებდა.





ტელმაკმა მაშინვე იცნო, რომ ეს მეფარნე იყო
— განა ანდრია არა ნახე? — შორიდანვე მისძახა ყმაწვილმა.

დაჭრილმა წამოიწია, მოიბრუნა გაფითრებული პირისახე და
ჰოქვა:

— იმ ურჯულო ავაზაკებს ახლა მე მკვდარი ვკონივარ. მერე
თვალით ანიშნა ქვიშიან გორაკის უკან სვეტივით რომ კვამლი ადიოდა.

ტელმაკი მიუხვდა და გეშურა ცეცხლის გასაქრობად, გარშე-
მო ქვიშით მიემალათ დაგროვებული შეშა, რომელსაც კარგა ძრიელი
ცეხლი მოჰკიდებოდა, ყმაწვილმა ერთს წამს ქვიშა წააყარა ცეცხლს
და გააქრო

მერე მივიდა ისევ დაჭრილ მეფარნესთან, დაუჩოქა წინ და ხე-
ლები დაუჭირა.

მოღუშულმა კაცმა დაიწყო ტირილი, მერე ტუჩები მიიტანა
ყმაწვილის შუბლთან და წაიბუტბუტა:

— წადი შენ გზაზე, შეილო, უბედურებას რასმე არ წააწყდე
მე ახლა უკეთობაში ვარ, უნდა გზას შევეუდგე, კანდელი ანაებული
არა მაქვს და გემები გზას დაჰკარგავენ.

ტელმაკმა წამოაყენა. მაგრამ საბრალოდ ორიოდ ნაბიჯი გა-
დადგა თუ არა, უღონოდ დაეცა.

დაღონებული გაიყურებოდა კანდელისკენ თითქოს მისი სული
ახლავე იქითკენ გაფრინდებოდა.

— კანდელი აუნთებელი დამრჩება! კანდელი! იმეორებდა ღო-
ნემიხდილი მეფარნე.

— მაშ ანდრია არ დაგხვედრია გზაზე? — ჰკითხა. მოუთმენლად
ყმაწვილმა

— არა. ვინ არი ეკ ანდრია?

— ჩემი მეგობარი და ამხანაგია. ის წამოვიდა იმ განზრახვით,
რომ შეგატყობინოსთ ავაზაკების შეთქმულობა. სულ სირბილით
გამოსწია თქვენკენ. ნეტავი ვიცოდე, ხომ არა დემართარა! როგორა
ხართ?

— არა მიჭირს რა. უბასუხა მეფარნემ.

მისი ყურადღება ახლა სრულიად მიქცეული იყო ზღვისკენ, სა-
დაც კანდელი ამართული იყო და ტელმაკის სიტყვებს იმდენათ ყუ-
რადღებას არ აქცევდა, როგორც ჩაბნელებულ ზღვის კიდევს, რო-
მელიც გაჭირებულ მგზაურებისთვის კარგს არას მოასწავებდა.

შორიდან მოისმა გემებიდან ზარბაზნის სროლა, საბრალოები

უთუოდ გზას დაჰკარგავდენ. კანდელის ფარანი რომ არა ყოფილა ანთებული—კიდებისთვის ველარ მიუგნიათ. ამათი საცოდაობამთლად მეფარნეს კისერზე ედებოდა.

კა მთლად ჩაშავდა. ერთი ვარსკვლავიც არსად მოჩანდა; მხოლოდ ზღვას ხანდიხან ზოლ-ზოლათ ნათელი დასცემდა ზღვის ციკინათელებისაგან. ტალღები დიდი ხმაურობით ასკდებოდენ ქვიშის გორაკებს, თითქოს უნდოდათ ჩაეჩუმებინათ ზარბაზნების გრიალი რომელიც წამ-და-უწყუმ მოისმოდა დასალუბათ განწირულ გემიდან. ერთბაშად ქარი ჩაეარდა.

მეფარნემ ზე ტელემაკმა სიხარულით თავისუფლათ ამოისუნთქეს. გზა დაბნეული გემები უთუოდ შეჩერდებოდენ ერთ ადგილას და გათენებას მოუცდიდენ. იმედი აღარ იყო, რომ სიბნელით მოცული არე-მარე ფარანს გაენათებინა. მეფარნემ მოიკრიბა რაც ღონე ჰქონდა და გზას შეუდგა. მაგრამ მალე დაიღალა და იქვე ჩაიჩოქა. ტელემაკი თვალს არ აშორებდა არე-მარეს, ეშინოდა კვლავ არ ანთებულიყო მის მიერ ჩამქრალი ცეცხლი.

ერთბაშად განათდა ზღვა.

ტელემაკმა სიხარულით შეჰკივლა ნერვებაშლილ მეფარნეს, თითქოს სასწაული მოევლინაო, უცბად წამოვარდა ფეხზე.

ორივემ დაუწყეს ყურება იმ ნათელ ზოლს, რომელიც იყო იმედი და სიცოცხლე დასალუბავ გემებისთვის. ამათ დაინახეს კიდევ გზა დაბნეული გემი, რომელიც მოდიოდა თურმე ამათ მხარეს. რაკი არე-მარე განათდა, სწრაფულად კანდელისაკენ მიუხვიეს.

მეფარნე გაოცდა, გაშტერდა, ვერ გაეგო, თუ ვინ ასრულებდა ამის თანამდებობას.

— ღმერთი მოწყალეა, თავის გაჩენილს ადვილად არ გასწირავს, ამოოხვრით წამოიძახა მეფარნემ.

— ეგ ჩემი მეგობრის ანდრიას საქმეა! ის გამჭრიახი და მოხერხებული ყმაწვიალია.


მართლა და ის ანდრია ყოფილიყო, რომელსაც აენტო კანდელის ფარანი.

დიდ-დედის ნანა.

(ხალხური ლექსი, ჩაწერილი დ. ნახუცრიშვილის მიერ)



აან, დაან, დანქსელო,
 ატმისა კურკავ ჭრელო;
 შორით მოსულო ჩიტო,
 კუკუნით მოხვალ მტრედო!
 ჰაზის ოქროს გუთანო,
 ზღვაში ნახნავ ნათესო!
 დიდ-დედის ჩიქილ-მანდილო,
 თავზედ დასახურავო!
 ბიძის ქამარ-სანჯალო
 წელზე შამოსარტყელო!
 ძაღუის ოქროს ჯინჯილო
 ეელზე ჩამოსაკდებო!
 მამიდის წითელო კოჭო.
 გულში დასანერგავო!
 დედიდის მწვანე ბოსტანო,
 თვალში საამებელო!
 დედამის თაიგულო
 სასუნებელო ვარდო!





კეთილი ბეჭრე

(საყმაწვილო ამბავი)

I



რთ შვენერ მანის დილას, როცა ტიტკომ ჩაი დალია და სკოლაში წასასვლელად ემხადებოდა, დედამ ბარათი მისცა, ზატარ ლისას გამოუგზავნიაო.

„ჩემო ძამიკო, ეწერა ბარათში: დღეს ნასადილევს ქალბქს გარეთ მივდივართ სასეირნოდ, გაკვეთილები რომ გააჩავო, მაშინვე ჩვენსა მოდი; სადილი ერთად ვჭამოთ და წავიდეთ. ოთხი საათის ნახევარზე გვეხვეს ეტლი დაბარებული. თუ გიუვარდე მოდი, თორემ მე რა უნდა ვინაიმოვნო მარტომ დიდებთან? აბა, შენ იცი, თუ დღეს მასწავლებლებს არ აწვევინებ, თორემ უსადილოდ რომ დაგტოვონ, ველარ მოგვისწრებ და მე ძალიან შეწეინება.“

შენი მოუვარული და ლისა.“

დედამ ნება მისცა ტიტკოს, წასულიყო ლისასთან, და ისიც განხარებული გაემგზავრა სკოლისკენ.

„ოჰ რამდენ უვაკილებს დაკურებთ, რამდენ თაბკულებს გავაკეთებთ,“ ჰფიქრობდა კსაზე ტიტკო: „იქნება მარწევიც ვნახოთ სადმე და კრძელ ბაღასის ღეროებსზე აცდუელს წამოუღებ დედას“..

ამისთანა ფიქრებში გართული მივიდა ტიტკო სკო-
ლამი და დაჯდა თავის ადგილზე.

კათავდა ერთი გაკვეთილი, ბეორე, მესამე, მეოთხე...
და ტიტკოს ერთი შენიშვნაც კი არ მიუღია მასწავლე-
ბელთაგან. ახლა ერთი გაკვეთილი კიდევ და ტიტკო
გაიქცევა თავის საუვარელ ღიხასთან, რომელიც ალბად
მოუთმენლად მიელის.

დაიწყო მესუთე და უკანასკნელი გაკვეთილიც. ტიტ-
კო ზის სულ განაბული და უსძენს მასწავლებელს...

ოჰ, როგორ გაგრძელდა ტიტკოსთვის ეს გაკვეთილი!
იმას ჰგონია, რომ ერთი საათის მკვიერ რამოდენიმე სა-
თი გადაბეს ერთმანეთსეო ერთობ მოსწეინდა ტიტკოს,
ლამის დაემინოს კიდევ! რა ჰქნას, არ იცის, რომ როგორმე
წაიღოს დრო! ჩუ, რაღაც მოაგონდა ტიტკოს; გაიღიმა და
ჩაიყო ჯიბეში ხელი. ჩაიყო და ამოიღო ღიხას ბარათი და
დაუწყო კითხვა, რომ ცოტათი მანც შეამოკლოს დრო. ტიტ-
კოს გვერდით მჯდომარე ამხანაგმა რომ შეჰხედა ამას, ისიც
გაიტაცა ცნობის მოუვარებამ, მიიწია ტიტკოსკენ და თვითო-
ნაც დაუწყო კითხვა ბარათს. კითხვას გაღიმება მოჰყვა, გა-
ღიმებას ჩურჩული. ტიტკოს და მის ამხანაგს, თითქოს
დაავიწედათ, რომ გაკვეთილზე ისხდენ და გაბებს მუსაიფი.
ეს შეამჩნია მასწავლებელმა; დაინახა აგრეთვე, რომ ტი-
ტკოს რაღაც ბარათი ეჭირა ხელში – და თვალის დასა-
მსამების უძალ მასთან გახნდა, ტიტკო შეერთა და უნდო-
და ბარათის დამალვა, მაგრამ გვიან-და იყო! მასწავლე-
ბელმა დაუჭირა ხელი და გამოართვა ბარათი. სკოლამი
სიცილი ატედა; ტიტკო კი თავ-სარ დაცემული იდგა.
მასწავლებელმა წაიკითხა ბარათი და უთხრა ტიტკოს:

— ვსწუხვარ, რომ ვერ შეასრულე ამ ბარათის მოწერის თხოვნა და ბოლომდის ვერ მოითმინე, რომ შენებურათ ცელქობა არ დაგეწყო. გაკვეთილს შემდეგ ორი საათით დამიტოვებინარ უსადილოდ.

II

ტიტიკო გაშრა მწუხარების გამო, მაგრამ რადან ისამდა?

— გაკვეთილი კათავდა. მასწავლებელმა ჩააბარა ტიტიკო სკოლის მოსამსახურე მოსუც ჰეტრეს და უთხრა: ოთხი საათის შესრულებამდე არ გაუშვა შინაო. ტიტიკოს თვალები ცრემლებით აევსო.

კავიდა ერთი საათი, რომელიც ტიტიკოს მთელ საუკუნედ მოეჩვენა. საბრალო ტიტიკო! მოდგომია ჰაწაწა სარკმელს და იხედება, დაღონებული, თვალებზე ცრემლ მორეული..

მოისმა ფენის ხმა და სარკმელთან გამოჩნდა ჰეტრე.

— ჰეტრე, რამდენი საათია ახლა? ჰკითხა ტიტიკომ.

— ჯერ ადრეა. სამი საათი ახლა შესრულდა, სომ არ მოგშივდა? ჰკითხა თავის მხრით ჰეტრემ.

— არა, არ მშია...

— თუ გინდა, ჰურს მოგიტან, განწვევტინა ჰეტრემ.

— არა, არ მინდა ჰური. მე სხვა რამ უნდა კთხოვო.

— რა?

— გამიშვი აწ.

— არა, ეგ არ შემიძლია, იმნაირი კილოთი უთხრა ჰეტრემ, რომ თხოვნის განმეორება საჭირო აღარ ეოფილიყო.

— იცი, როგორ არის საქმე? უთხრა ტიტკომ და მოუყვა, ახლა მას როგორ მიელის ჰატარა ღიზა.

— არ შეიძლება, ეუბნებოდა ჰეტრე.

— ტიტკოს გული აუჩხვილდა და ტირილი დაიწყო.

— მამა, მამა, მოისმა ამდროს ჰაწაწა ბავშვის ხმა და ჰეტრესთან მიიხრბინა 6—7 წლის ვაჟმა.

— ეს გასაღები გამოგიგზავნა დედა; ჩვენ სხვაგან მივდივართ, უთხრა ბავშმა და გაუწოდა გასაღები.

— შენ კენაცვალს მამა შენი! დამახა ჰეტრემ, გამოართვა გასაღები და აიყვანა ბავში ხელში, რომ ეკოცნა.

— აჰ, აჰ გამიშვი გამიშვი!.. დედა და და ქუჩაში მიცდიან, ევიროდა ბავში და იწეოდა წასასვლელად.

— ა, შე სამაგელო შენ! უთხრა ჰეტრემ და გაუშვა ხელი. ბავში უცებ გაჰქანდა.

— ჰეტრე, მოისმა ამდროს ტიტკოს სიტყვები: ახლა რომ ვისმე დაეჭირა შენი ჰატარა ბიჭი და დედასთან და დასთან არ გაეშვა, კარგი იქნებოდა? ჰეტრეს სახე დაედმიჭა ამის გაგონებაზე.

— ჰეტრე, მეც ისე მინდა ახლა წასვლა, როგორც შენ ბიჭს, მეც ისე მიცდის ღიზა, როგორც იმას უცდიდა დედა და და... გამიშვი აწ, ჩემო ჰეტრე, გამიშვი და ეოველთვის შენთვის ვილოცავთ მე და ღიზა.

ჰეტრემ საათი ნახა, ოთხის ნახევარს ცოტა-ღა აკლდა.

— გამიშვი, ჩემო ჰეტრე, ჯერ კიდევ მიუსწრებ... დაიწყო ისევ ტიტკომ თვალების წმენდით.




— კარგი, კარგი, წადი, მაგრამ ერიდე, მასწავლებელს არ შეეფეთო, უთხრა ჰეტრემ და გაუღო კარი.

— შენ გენაცვალე, ჩემო კეთილო ჰეტრე! დაიძახა განარებულმა ტიტაკომ, თვალის დასამსახმების უმაღლესსა შეასტა ჰეტრეს კისერზე, ერთი მაგრად აკოცა და გაიქცა ღიზის სასლისკენ..

ტიტაკომ ფეხზე მიუსწრო ღიზას და მის მშობლებს..

დუბუ შუგრაღა





მ. ო. მ. ა. ვ. ა. ლ. ი. ე. ქ. ი. მ. ი.

(კუძღვნი ჩემს შვილს ვაძლიკოს.)



იდ მარხვის უკანასკნელი დღეები იყო. გაზაფხულის მზის სხივები სანეტარო სითბოს ჰტენდა გარშემო არემარეს. ბუნება კეკლუცად იკაზმებოდა და სადღესასწაულოთ ემზადებოდა.

ბრწყინვალე აღდგომის დღეები მოახლოებულნი იყვნენ. ივანე კეთილადის ოჯახშიაც დიდი მზადება იყო. მოსამსახურე ბიჭები მთელი დღე ეზოს გვიდნენ, სახლებს ასუფთავებდნენ. დღეს ქალბატონს მოელოდნენ ქალაქიდან. ივანე კეთილადე ქალაქში მსახურებდა. ზამთრობით ოჯახობაც თან ჰყავდა. სხვა დროს კი ივანეს ოჯახობა მუდამ სოფ. გზამოქცეულში იმყოფებოდა. ეს სოფელი რკინის გზის სადგურის ახლოს მდებარებდა. ივანეს ოჯახობის მოსვლით მთელი ის არე-მარე გაცოცხლდებოდა ხოლმე. ივანეს უმანკო და ანგელოზ-ვით ლამაზ ქალ-ვაჟებს მეზობლის ქალები მუდამ ხელით დაატარებდნენ. ყმაწვილებიც სულ გამოიცვლებოდნენ ხოლმე სოფელში. მთელი დღე გარეთ, წმინდა ჰაერში ნაფარდობდნენ, ცელქობდნენ. თავის ტოლებთან ერთად ხან ტყეში ჩიტის ბუდის საძებრად დადიოდნენ, ხან სოფლის პატარა რუებში კიბოებს დაცდებდნენ და იჭერდნენ! ივანეს მეუღლეც დიდი პატივსაცემი პირი იყო სოფ. გზამოქცეულში. ამ სოფლის მკვიდრს მაკრინე (ასე ეძახდნენ ივანეს ცოლს) თვალში რომ ჩაეარდნოდა ხელს არ ამოისვამდა. მთელი სოფლის დამხმარე, მრჩეველი და ჩამკანებელი ივანეს ცოლი—მაკრინე იყო. როცა სოფელში მოვიდოდა, პატარა შინაურს აფთიაქს თან მოიტანდა და ყველას აწვდიდა წამალს. „მაკრინეს ტკბილი“, მუსაიფი და გულშემატკიცრობა ყოველ ავადმყოფს მოაბრუნებსო“, ამბობდნენ მეზობლები.

დიდ-ოთხშაბათი საღამო იყო. მთელი სოფელი ვენახში მუ-



შაობდა, ამ დღეს ოჯახში ერთს ბავშვსაც ვერ ნახავდით—ყველანი მამულებში ცეცხლს ანთებდნენ და მათი ხმა-მალალი ჟივილ-ხივილი შორს გაისმოდა ჰაერში. შუა მინდორზე დანთებულ ცეცხლზე დრო გამოშვებით ბავშვები ხან ერთი და ხან მეორე გადახტებოდნენ ხოლმე და სიცილ-კიჟინით გაიძახოდნენ:

„ჰერული კუდიანებსა, ჰერული, ჰერული!

ჩვენს მამულში ტენა, ტენა,

სხვის მამულში კიმპლა, კიმპლა!

ჰერული კუდიანებსა, ჰერული, ჰერული!“

ამ სიტყვებს თან თოფის სროლაც მოყვებოდა ხოლმე და ამ გვარი შეერთებული სიმხიარულე ბავშვებს სულ ფრთებს ასხამდა. იმ დღეს ბავშვების გროვას ორი ვაჟი ივანე კეთილადისა დილიდანვე არ მოშორებია. ისინიც მათში ერიენ და მხიარულობდნენ. ივანეს უფროსი ვაჟი ვალიკო სულ ათი თუ თერთმეტის წლისა იქნებოდა. უმცროსი კი სულ ცხრა წლისა იყო. ვალიკო რომ თავის ტოლებში გაერეოდა მის სიცელქეს საზღვარი აღარა ჰქონდა. იგი სოფელში გალიიდან გამოშვებულ ჩიტს ემგზავებოდა. დღეს ვალიკოს აღტაცება ცას უწევდა. ვინ მოაველებდა ცქვიტ ვალიკოს თვალს, როდესაც იგი: „აბა, ბიჭებო, ჩამოდექით*ო დასძახებდა და იწყებდა გადაეგლებოდა აპილ-პილებულ ცეცხლის აღს. რომელ ამხანაგს შეეძლო ვალიკოს მიგნება, როდესაც ჯერი მას შეხვდებოდა დასამალავად, ან ვინ მოეწეოდა გაქცეულ ვალიკოს?!

არა ერთხელ გამხდარა ვალიკო ავად. არა ერთხელ გაციებულა ცელქობის დროს, მაგრამ დროზე ხელის შეწყობას ხშირად გამოუბრუნებია ხოლმე სამარეს გზიდან. ხუთშაბათი დილა იყო. მაკრინეს ოჯახში ყველა ფეხზე იდგა. ვალიკოს გარდა ყველანი ფეხზე იყვნენ. ყმაწვილი იმ დღეს რალაც ჩვეულებრივზე გვიან ადგა. ზანტათ პირი დაიბანა. ერთი თუ ორი საათი ფეხზე დადიოდა. მისს ბროწეულივით წითელ ლოყებს რალაც მკრთალი ფერი გადაჰკრავდა. მის სიცოცხლით სავსე პირის სახეს რალაც მწარე ნაღვლიანობის შუქი მიჰფენოდა.

— რას დაღონებულხარ, ვალიკო? ავად ხომ არა ხარ, შენ გენაცვალოს დედი შენის თვალები?—ჰკითხა დედამ ვალიკოს.

— რალაც თავი და მუცელი მტკივა, დედა ჩემო! მიუგო ვალიკომ.

— უი, გენაცვალოს დედის თვალები; ავათმყოფობას, შეილო, შენთან რა უნდა? ვაი, თუ გუშინ ირბინე, შეილო, და გაცედი?!

— დედა, ვალიკომ გუშინ იმდენი იხტუნა, იმდენი ითამაშა, რომ ლოყებზე ოჟლის ღვარი ჩამოსდიოდა. წამოიძახა ვალიკოს უმცროსმა ძმამ, რომელიც გუშინ მასთან ერთად თამაშობდა.

ყმაწვილის ლოგინში ჩაწოლა და ავათმყოფობის გაძლიერება ერთი იყო, საშინელი სიცხე მისცა. ავათმყოფი გონება მისუსტებული დრო გამოშვებით ბოდავდა. პირის სახე ცეცხლივით აენთო. მისი კენესა დედამისს ზეზეულად ჰკლავდა, სოფლის ექიმები, მკითხავეი დედაკაცები და მაკრინეს ნათესავეები ყველანი თავზე ესიენ და მკედარ-ცოცხალ ვალიკოს თავზე დასტიროდენ. ვალიკოს ტკივილები ხან მუხლებში ჰქონდა, ხან თავში. უფრო მუხლების და კლავების დასუსტებას გრძნობდა. დედაკაცებმა ეს ტკივილები ვინ ამოყოლილად აღიარეს და ვინ ნაღრძობად:— ვინ იცის. შეილო, ეგებ დაეცა გუშინ და მუხლი იღრძოვო, ამბობდა ერთი დედაბერი.— არა გენაცვალოს ჩემი სიცოცხლე, ქალბატონო, მუხლების ტკივილი და წიწკნა აყოლილმა იცის, ჰთქვა მეორე დედაკაცმა.— მაშ ორივეს გამოულოცავე, შეილოვო, ჰთქვა მესამემ და მიუჯდა ავათმყოფს.

დანაყა კაკლის გული, ჩაყარა თუილ წყალში დაასხა ხის თეფშზე, ჩააყრევინა ავათმყოფს შიგ ფეხები დაუწყო ზელო და თან ბუტბუტებდა.

სახელითა მამისათა და ძისათა.

და სულისა წმინდისათა.

უცხო მინდორსა უცხო ხე იდგა,

უცხო ფრინველი ბუდეს იდგამდა,

უფხვოდ შეველ, უხელოდ ჩამოვიყვანე.

უცეცხლოდ შევსწვი, უპიროდ შევსჭამე.

ცხვარმა დაიბლავლა, კრავმა უშველა,

კრავმა უშველა სამის დღისამა,

ახლა შენც უშველე ნაღრძობო, წიწკნისა

და ტეხისაგან. ამინ.

ვალიკო სულ უარ-და-უარ მიდიოდა. მაკრინეს მკითხავე დედაკაცებისა არა ჰჯეროდა რა; მაშინვე მისცა ტელეგრამმა ქმარს და ექიმიც დაიბარა „ან მოუსწრებ ცოცხალს და ან არაო,“ წერდა მაკრინე თავის ქმარს. ივანეშვიც ისეთ დროს მიიღო ტელეგრამმა,

როდესაც მომზადებული იყო სოფლისაკენ, იმ წამსვე ექიმი იშოვა, პატარ-პატარა სათამაშოები ყმაწვილებისათვის იყიდა და მეორე დღეს თავის ცოლ-შვილში იჯდა. ვალიკოს არც მამა და არც ექიმი პირველ დღეებში არ უცენია. სიცხისაკან გონება-დაკარგული უგრძნობლად ეგდო ლოკინში და დრო გამოშვებით კენებოდა. ექიმმა ყოველ გვარი ღონისძიება იხმარა ვალიკოს გამოსაბრუნებლად. ვალიკოს მესამე დღემდის არა უგვრძნია რა. მესამე დღეს მის ჭკუით სავსე თვალებს გადაშორდა სიცხის ბნელი შუქი. პირველად თავის მხსნელ ანგელოზს-ექიმს შეავლო თვალი. ექიმი იცნო იმ დროს, როდესაც იმის ილლიიდან ტერმომეტრი (სიცხის საზომავი) გამოიღო და მეგობრულად გაუცანა. ექიმს დიდ მადლობას სწირავენ ვალიკოს მორჩინისთვის. ნეტავი კიდევ თუ ვინმე იქნება ქვეყანაზედ ექიმზედ უფრო კეთილი ადამიანიო, — ჰფიქრობდა თავისთვის ვალიკო

*
*
*

ვალიკომ ორ თვეს შემდეგ უწინდულათვე დაიწყო სასწავლებელში სიარული. სიცელქე და სიმალხაზე მას მცირეოდნათაც არ მოჰკლებოდა. თავისებურად ნაეარდობდა ამხანაგებში და ძველებურ სათამაშოებს ახალი თამაშობაც მიუმატა. ექიმმა დიდი შთაბეჭდილება იქონია მგრძნობიარე ვალიკოზე. მის გამოკვინებულს თამაშობას ვალიკომ „ლოქტორობია“ უწოდა. დაწვედა ხოლმე რომელსამე ბავშს, მიუჯდებოდა გვერდით, უბეში ტერმომეტრის მაგიერად გამოჰკრილ მოკლე ჯოხს ჩაუდებდა, მაჯაზე ხეოს მოკიდებდა და ეუბნებოდა: „გამოყავი ენა! დახველე! უჰ, რა სიცხე გქონია?!“ შემდეგ გადაუშლიდა გულს, მიადებდა ყურს და რავენსამე წამს შემდეგ თავის ქნევით იტყოდა. — „ჰო, ცოტა გაცივებულხარ, თბილად იწვევი, არა გიშავს რაო.“ ამ სიტყვებზე დანარჩენი ბავშვები აუტყვდებოდნენ და სიცილ-კიჟინით გამოაგდებდნენ გარეთ ვალიკოს.

ყოველ დილას, ვალიკოს დანახვაზე შეგირდები კარებშავე მიადახებდნენ ხოლმე: — „ე, ბიჭო, ჩამოდექით, ღოქტორი მობრძანდებოა.“

ვალიკოც, თითქოს იფერებდა, დიდ-კაცურად ღიმილათ გადაეღებდა თვალს შეგირდებს და ბრძანების კილოთი იკითხავდა: — „დღეს ხომ არაეინარის თქვენგანი ავათო,“ აქ კიდევ უფრო მიაყრიდნენ სიცილს ამხანაგები და ხშირად მათი სიცილ-კასკისი მეთ-

ამ გვარ ხუმრობაში ვალიკოს ექიმობის ხელობა უფრო-და უფრო მოსწონდა. პირველ შთაბეჭდილებამ ვალიკოს ნორჩი აგებულება თან-და-თან შეიპყრო. რაც დრო მიდიოდა, იმდენად უფრო მეტს ყურადღებას აქცევდა იგი ექიმობის ხელობას და ღრმა პატივისცემით უცქეროდა მათ. მიდიოდა დრო, ვალიკო კლასიდან კლასებში პირველ შევირდათ გადადიოდა. მასის უკანასკნელი დღეები იყო, მერვე კლასის შევირდებს უკანასკნელი გამოცდა ისტორია-გეოგრაფიაში ჰქონდათ. დილას ყველანი შეიკრიბნენ გიმნაზიაში. დღევანდელი გამოსაცდელი საგნები აღვილი იყო. დღეს ყველანი მხიარული სახით გამოიყურებოდნენ. რამოდენსამე დღეს შემდეგ სწავლის გათავების მოწმობებს დაურიგებდნენ. დღეს ყველა იმაზე ლაპარაკობდა, თუ ვინ სად მიდიოდა სწავლის დასამთავრებლათ და ან რომელ მეცნიერებს შეისწავლიდა.

— შენ სადღა მიდიხარ? ჰკითხეს ბოლოს ვალიკოს ამხანაგებმა, მაგრამ, ჰო, შენ ხომ დოქტორი ხარ, შენ სამკურნალო ხელობის შესასწავლად წახვალ! დაუმატეს სიცილით ამხანაგებმა.

— დილაღ. მე დოქტორის ხელობა მომწონს! მერე, რა არის აქ სასაცილო? ამხანაგებმა გაიკმინდეს ხმა.

მართლაც ვალიკოს პატარაობიდანვე ჩაუარდა მკურნალობის სურვილი და გიმნაზია რომ გაათავა შემდეგ არც კი უფიქრნია სხვა საგანზე, პირ-და-პირ სამკურნალო მეცნიერების შესასწავლად წავიდა რუსეთში.

ვალიკოს ამ გვარ საქციელს მისი მშობლები სრულებითაც არ გაუკვირებია. ისინი დღემდისაც კარგათ ამჩნევდნენ თავიანთ შეილის სურვილს.

* * *


ვალიკო რუსეთში დიდი სიხარბით დაეწაფა მეცნიერებას, სადაც უფრო დაუახლოვდა მკურნალობას, და მხურვალე სიყვარული ჩაუარდა გულში მომავალი ხელობისა.

ვალიკო ზაფხულობით თავის ქვეყანას უნახავად არასოდეს არ ჰტოვებდა. მის სოფელში მოსვლას ყოველთვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა. ვალიკოს ერთ კვირასაც ვერ გაჩერებდნენ მშობლები ქალაქში. მას რაღაც ძალა იზიდავდა სოფლისაკენ, რაღაც უჩი-

ნარი სიყვარული ხალხის ცხოვრების შესწალისა ხიბლავდა და იტაცებდა მათკენ. ვალიკოს სოფლად უსაქმოდ ვერ ნახავდით. ოჯახიდან ოჯახში და სოფლიდან სოფლებში დადიოდა და ხალხის ცხოვრებას გულმოდგინეთ თვალყურს ადევნებდა. სამკურნალო ქართულ სიტყვებს და მცენარეებს აგროვებდა; ხალხურ რწმენას და წამლობას იწერდა, აკვირდებოდა და მისი ოთახი სამეცნიერო კოლექციებით სულ სავსე იყო.

18... წელს ბევრმა გაათავა უმაღლესი სასწავლებელი. ბევრმა მიიღო პკურნალობის ხარისხი, მაგრამ სოფელი არც ერთს არ გახსენებია. ყველანი ქალაქებში დაბინავდნენ. მხოლოდ ვალიკო კეთილად არ უმტყუნებია მიზნისათვის. ის გაემართა თავის სოფელში, მოქმედებს თავის ხალხ შორის და ღვსაც მას ემსახურება. ს. გზამოქცეულები ყოვლად ბედნიერი არიან ზემოთში. განათლებული მღვდელი, სკოლის მასწავლებელი და ექიმი ერთმანეთს ეჯიბრებიან ხალხის სამსახურში. ღმერთმა ბედნიერი შედეგი მიჰცეს მათ კეთილ მოქმედებას.

თეოდ. ხუსკივაძე.





ზ ლ ა პ ა რ ი

წილთა შენ გუებნები და მუღთა შენ გაიგონე

(გურიაში ჩაწერილი მ. მგალობლიშვილის მიერ)



ყო ერთი შეძლებული კაცი. არაფერი არ აკლდა, მხოლოდ შეილის მონატრული იყო, ეხვეწებოდა ღმერთსა, რომ მისთვის შეილი მიეცა და დაუდგა ალთქმა: უფალო, ოღონდ შეილი გამიჩინე და ისეთს პირუტყვეს შემოგწირავ, რომელსაც ყური მტკაველის სიფართე ჰქონდესო.

რამოდენსამე ხანს შემდეგ გაუჩნდა ერთი ვაჟი-შვილი. მალე შეუდგა ალთქმის ასრულებას. ბევრი ქვეყნები დაიარა და იმისთანა ცხოველი ვერსად იშოვნა, რომელსაც ერთი მტკაველა ყური ჰქონოდა. ბოლოს მივიდა ერთ ქვეყანაში; გაიცნო ერთი კაცი და იმასთან დაბინავდა. იმ ქვეყანაში იყვენ ცამეტი კაცი დაყენებული მმართველად. ერთი მათგანი ამ კაცის ახალი გაცნობილი იყო. მეორე დღეს წავიდენ ორივე სამსჯავროში; საქმე რომ გაათავეს, შემდეგ ყველანი უცხო კაცის მასპინძელთან წავიდენ სადილათ. სადილზე შემოიტანეს შემწვარი ცხვარი და დანა არსად იყო. იკითხეს „ე-სა აქეს დანაო“. უცხოელმა თქვა, მიირთვით ჩემი დანაო და მიაწოდა ოქროთი მოჭედილი დანა. ერთს მათგანს შეეხარბა დანა და გადაწყვიტა მისი წართმევა. მან მოსდგა შარი, კაცო ეს დანა ჩემიაო და შენ მოგიპარავსო. გაიმართა ბჭობა და საბჭომ იქვე გადაწყვიტა; თუ დანის პატრონი მეორე დღეს არ გაიმართლებდა თავს, უნდა ჩამოეხრჩოთ. ამასთანავე მასპინძელს აუკრძალეს, მას არ გამოეღაპარაკოვო, რადგან იცოდენ, რომ პასუხს ასწავლიდა. სტუმარი და მასპინძელი დაღონდენ; პრველი მისთვის რომ ხვალ უნდა, ჩამოეხრჩოთ, მეორე მისთვის, რომ მის სახლში მისივე სტუმარი უნდა მოეკლათ. უეცრად ოთახში კატა შემოვარ-

და, ჰტაცა მასპინძელმა ხელი, დაიჭირა, დაუწყო ცემა და უთხრა! „რძალო შენ გეუბნები, და მულო შენ გაიგონე“. შე უგნურო, შენ ქვეყანაში ნუ თუ მარტო ვირები ცხოვრობენ, შე ბრიყვო, როგორ არ იცოდი, თუ ცხვარი მოიტანეს, დანასაც მოაყოლებდნენ, ძაღლივით ხომ არ დახრავდნენ. რას აპირებ, შე უჭკუო, ხვალ რო ჩამოგაკონწიალებენ ხეზე და ყვავები წიწკნას დაგიწყებენ. ყური დამიგდე, რა გითხრა, თორემ სიკვდილს ვერ გადურჩებიო. ხვალ რო სამსჯავროში დაგიბარონ, ასე უთხარი: მამაჩემი ძალიან მდიდარი კაცი იყო-თქო, საეჭროთ იყო წასული და გზაში მოჰკლეს, მე წავედი საძებნელათ ზე ენახე ერთს მინდორზე მკვლარი მამაჩემი და მის გვერდით ეს დანა სისხლიანი იდვა-თქო. მოვიგონე, ვითომ წამოვედი ისეთის პირუტყვის საძებნელათ, რომელსაც ყური ერთის მტკაველის სიფართე უნდა ჰქონოდა-თქო, მართლად კი მამაჩემის მკვლელს ვეძებდი და რადგან თქვენ აღმოჩნდით ამ დანის პატრონი მე ვითხოვე კანონის ძალით, რაც მკვლელმა მამაჩემს თული წაართვა ისევე უკან დამიბრუნოთო“. დარიგება რომ გაათავა, კატაც გაუშვა. სტუმარმა მოისმინა ყველა და მეორე დღეს მოახსენა მსაჯულებს ყველაფერი. იმათ სტუმარი გაათავისუფლეს და ვინც მიითვისა, მას გადაუწყვიტეს სტუმრისთვის ჩაებარება რაც მამამისისთვის წაერთმია, მაგრამ ესეც არ აკმარეს და იგი მეორე დღეს ჩამოახრჩეს. სტუმარი რომ სასამართლოდან მასპინძლისას უვნებლად დაბრუნდა, ამან კიდევ განაგრძო სტუმრის დარიგება. შე ოჯახ აშენებულო, რომ დაგვალეს, ისეთი ცხოველი უნდა შესწირო ღმერთს, რომ ერთი ტკაველა ყური ჰქონდესო, შენი ტკაველი ყური თუ არ ექნებოდა, ბევრის ტკაველა ყურიანს ცხოველს მაინც როგორ ვერ მოძებნილიო. დაახომე შენი შეილის ტკაველი, რომელიმე ცხოველს ყურზე და შეჭწირე ღმერთს მსხვერპლად. მეორე დღეს სტუმარი და მასპინძელი გამოეთხოვენ ერთმანეთს. უცხო კაცმა მასპინძელს მადლობა გადაუხადა, ბევრიც აჩუქა და დაბრუნდა თავის სამშოლოში.





თვალი-პატიოსანი

ეთისმშობლის დიდებულ გვირგვინს
 ძვირფასი დააკლდა თვალი...
 და იმის მოპოებასა
 ბრძანებდა ღმერთი უთვალი.

უბრძანა მთაფარ-ანგელოზს:
 „მიმოვლე ზღვა და ხმელიო
 და საკადრისი თუ შეგხვდეს
 თვალი, შეახე ხელიო!“

დაეშვა მალლით გაბრიელ;
 ათვალიერებს ქვეყანას,
 მაგრამ საძღენოსა ციურსა
 ვერ ჰპოებს, რომ სურს, მისთანას.

ზღვაში მარგალიტს და მარჯანს,
 ხმელეთზე იაგუნდ-ლაღსა,
 ზურმუხტს და აღმასს ელფარეს,
 ჰწუნობს!.. არიდებს მათ თვალსა,

რადგან ვერ ჰხედავს იმათში,
 უნაკლულოსა... უზადოს!..
 არ იცის: უფალს რა უთხრას?
 დეთისმშობელს რა მოუშადოს?

დალონდა!.. ფრთები გაშალა
 სხივების მოსაფენადა
 და მიემართა ზეცისკენ
 ხელ-ახლად ასაფრენადა.

მაგრამ იმავ დროს შორს რაღაც
 შენობას მოჰკრა მან თვალი!..
 ის იყო ქონი საწყლისა,
 ნახევრად ნაქცევ-დამპალი.

შეფრინდა მის ბნელ ოთახში
 ცის მოციქული ელვარე
 და ნახა ქალი უძლური,
 ძირს მომაკვდავად მდებარე.

მის წინაც, მუხლებ-მოყრილი,
 საბრალო მისი ასული!
 გული ევსება ტანჯვითა
 და სასოებით თან სული.

მალლა აეპყრა ხელები,
 ფიქრით ქვეყანას ბურავდა
 და ლაწვზე ვით მარგალიტი,
 ობოლი ცრემლი გორავდა.

„ვიპოვე, რასაც ვეძებდი
 გვირგვინის შესამკობლად
 ცისა და ქვეყნის დედისთვის!..
 ყოფილა აქვე, სოფლადა!..“

ჰოქვა ანგელოსმა და ცრემლიც
 მოჰწყვიტა სიხარულითა..
 ცრემლი ნაშობი, უმანკო,
 ვედრება სინანულთა.

აკაკი

სურათები

ფრინველთა ცხოვრებიდან.

II

გუბეების ფრინველები.

(Grallatores)



აქართველო თუძცა თბილ ქვეყნად ითვლება, მაგრამ იშვიათია, რომ ჩვენს ტბებში და გუბეებში გამოდებოთ, სამთარ-საფსულ ცხოვრებდენ გუბეების ფრინველები, მაკალითად წერო, ბაფაუი-ჭამია, ცხრა-ტყავა, ყარყატი და სს.

თუ იხვს იტყვით, მართალია იხვი სამთარ-საფსულს ცხოვრობს ჩვენს ტბებში, მაგრამ იხვი გუბეების ფრინველთა ჯგუფს არ ეკუთვნის, იხვი მცურავ ფრინველთა ჯგუფშია ჩარიცხული, რადგან ფხის თითები გაბანდული აქვს და ტანის მოყვანილობაც ცურვისა და ყურუშქელაობისათვის აქვს განკებ მოხერხებული.

მომეტებული ნაწილი გუბეების ფრინველებისა გასაფსულობით გვეწვევიან სოლმე საგარაკოდ, სილსა სილობენ, ჩრდილსა ჩრდილობენ, ბღარტებს (მართეებს) გამოჩეკენ, გამოხდიან და შემოდგომობით, სიცვიის მოახლოების აღდოს აიღებენ თუ არა, ისევე ცხელი ქვეყნებისკენ აბარგდებიან, მიეშურებიან.

გუბეების ფრინველთა ჯგუფს აყლაყუდებესაც უძინიან, რადგან ზოგს მათგანს მეტად მაღალი და წვრილი ფხები აქვთ. ბარძაყები ნახევრამდე ძლივს აქვთ შებუბლული, წვივები კი სულ ტიტველებია.

საზოგადოთ გუბეების ფრინველებს ფეხის თითები სა-
კანგებოთ ისე აქვთ მოწყობილი, რომ განივრად
ჭდგმენ, რის გამოც ტბა-გუბეების ლამში, შლამში და ტა ხში
სრულებით ადვილად დახერხებენ სიარულს და არ იფლობიან.

როცა ტბა, ანუ გუბე იქამდე ღრმა დაუხვდებათ, რომ
ფეხს ძირამდე ვეღარ უწევენ, მაშინ ეს ფრინველები სა-
კვირველ მოსასრებას გამოიხეიენ სოლმე — დაჯღუბავენ თი-
თებით ბლომად ჩაღას, ჭილს ან ლერწმის ნამსხვრევებს
და ტბის ერთი ნაპირიდან მეორემდე, ამ ნავტიკით, ისე
გადიან თითქო მინდორ-მინდორ დასეირნობენო. ზოგიც
სულ ადვილად გაიბენს სოლმე წყლის მცენარეების ფო-
თლებზე. ზოგს ცურვის უნარი აქვს. ზოგსაც ეურეუძე-
ლობის შნო და თითქმის ვეელამ კი ხანგრძლივი და
სწრაფი ფრინვა იციან.

ერთიც ისაა დირს-შესანიშნავი, რომ გუბეების ფრინ-
ველებს ჩინჩახვი სრულებით არა აქვთ, კუჭი და წე-
ლები კი საკმაო გრძელი და მაგარი აქვთ. ან კი რათ
უნდათ ჩინჩახვი გუბეების ფრინველებს? ამათი საჭმელია
თევზი, ბაეაუი, გველები და სხვა და სხვა გუბეების წვრი-
ლმანი ცხოველები, რომელთაც ზირდაზირ ელურჭვენ, კსა-
ვნიან კუჭში და ძლიერ ადვილადაც ინელებენ.

ქათამი როცა მარცვლებს კენკამს, მარცვალს ზემო-
კანს როდი ამრობს, ისე ჭელაზავს და ჯერ ჩინჩახვიში
ძოაგროვებს აქ, ჩინჩახვიში მარცვლები გაღვივდებიან სოლმე
და მერე კუჭში გადადიან ქათმის კუჭში სძირად შეხვე-
დრისარო კენჭებს და ქვიძას. ეს იმიტომ, რომ კენჭები,
ქათამს მარცვლების მონელებასი ძლიერ ეხმარებიან, რა
დგან მარცვლებს აწვრილმანებენ, სრესენ და კუჭისთვის

მონელებას აადვილებენ. მაშასადამე ჩინჩასვი აუცილებლად საჭიროა ეველა იმ ფრინველებისათვის, რომელნიც განსაკუთრებით მცენარეულ მარცვლებით იკვებებიან და ჩვენი გუბეების ფრინველებისათვის კი სულაც საჭირო არ არის ჩინჩასვი, რადგან ხორცი-ჭამიები განსაზღვრულად.

გუბეების ფრინველებს წვეილ-წვეილად უევაართ ცხოვრება. ბუდეებს აშენებენ მიწაზე, ხეებზე, სახლებზე და ზოგჯერ წებლშიაც. ერთი და იგივე ბუდე რამდენსადმე წებლშია და ჰყოფიდა, რადგან განსაზღვრულად, როცა ჩვენსა მოდიან, თავიანთ ძველს ნაბუდარებს მონახვენ ხოლმე, თუ დაჭჭირდა შეაკეთებენ და მერე მოეწეობიან ოჯახობას.

რამდენიც უფრო და უფრო მიუახლოვდებით ქვეყნის გულს, საშინელ ცხელ ადგილების ტბებს და გუბეებს, იმდენი უფრო ბლომად შესვდებით გუბეების ფრინველებს სხვა და სხვა გვარისას.

აი, ამ ქამად მე მსურს გაგაცნოდ, ზოლოზოკის აღწერიდან, ერთი მეტად საინტერესო და ლამაზ ბუმბულებით მორთული ფრინველი, რომელიც ტბის ფრინველების ჯგუფს ეკუთვნის. ამ კველუც ფრინველს სახელად ფლამინგო ეწოდება და ქართულად შეიძლება უწოდოთ წითელი ყარუატი, ან წითელი ბატი, ან ფრთაწითელი.

ფლამინგოს სამშობლო ხმელთა შუა ზღვის გარემოშია, ზოგის კი შავის და კასპიის ზღვის ნაპირებთანაც უნახავთ.

როგორც უწინდელი, აგრეთვე ჩვენი დროის მეცნიერები და ბუნების მკვლევარნი აღტაცებით აკვივრენ ამ ფრინველის სიშვენიერეს.

მეცნიერი სეტი ამბობს: „დილის ცისკარი და ამომბ-

ვალი მზის სსივები, ისე არ ბრწეინვენ შვენიერ ფე-
 რად-ფერადათ და ვერც ბალები ჰესტუმისა ისე ვერ ააჭ-
 რელეპენ თავინთ ევავილებს, როგორც ფლამინგოს ფრთებია
 შვენიერი ფერებით მოელვარე და მოძინებლავათ შემ-
 კობილი.


ეს ის ფერია, რომლითაც, ახლად გაშლილი ვარდი
 თავის ალას ფრად გულის უხარებს კაცს,“

ბერძნები, რომაელნი და სხვა ხალხი, იქამდე იევენ
 გაკვირვებული ფლამინგოს მოელვარე ფერადი ბუმბულე-
 ბით, რომ სასელებს უსვიადებდენ — ზოგი ცეცხლის ფრინ-
 ველს ეძახდა, ზოგიც ცეცხლის ალს და სხვ...
 ამ კეკლუც ფრინველს ლონგფელო თავის შვენიერ
 ლექსშიაც იხსენებს: „წინ ვით წითელი, სისხლის მანდი-
 ლი, ფრთა ჰრჭევიანა ფლამინგო მიფრინავდა.“

მაგრამ აბა დააკვირდით სურათს, განა მართლად ღირ-
 სია ფლამინგო ამდენ ქებათა-ქებისა? ერთი რაღაც უშნო
 აელაუუდა ფრინველია, თითქმის ერთ საყენამდე აყინული.
 აბა, ე მაკ ჰატარა ტანს, მაკ სიმაღლე ფეხები და იმ სი-
 კბე კისერი განა შეეფერება? სწორეთ მოგახსენოდ, არა
 ფრად უხდება. ახლა მაკ შეუფერებელ ტანადობას ზედ
 დაუმატეთ განრტყელებული დიდი ნისკარტიც და მკონი,
 რომ ძნელად დაიჯერებთ ზემო მოყვანილ ქებათა-ქებას და
 აღტაცებას.

რასაკვირველია, ასე დასატული და ისიც ერთ ფრად,
 შვად, ვერაფრად მოგვეწონება აელაუუდა ფლამინგო. თურ-
 ძე არც მაშინ არის მოსაწონი, თუ ცოცხალს ახლოს ნა-
 ხამთ. მაგრამ სულ სხვაა ფლამინგო, როდესაც მწვანე
 მინდორზე დგას და თქვენ შორიდან უცქერით.

მაშინ, როდესაც მისი სხივები ფლამინგოს წითელ ფრთებსე კეკლუცობენ და ელვა, ბრჭყვიალი ფერადებითა



თვალს კიჭრელებენ, მაშინ, კი მართლა რო აღტაცებაში მოხვალთ ამ შუენიერ სანახაუთ, დაგავიწყდებათ მისი

აულაუდობა და უნებლიეთ თქვენც შეასხამთ ქებათა-ქებას.

აგრეთვე საუცხოვო სანახავია ფლამინგო, როდესაც ცაში მიფრინავს, წითლად მისრიალებს ცეცხლის ჯვარით და ძვის სხივები ცისა ლაჟვარდში სატყვენ.

სენეგალის ხალხი ფლამინგოებს „ინგლისის სალდათების ფრინველებს“ უძახის. მართლაც და საშინლად უეპართ მწკრივად დგომა და სიარულიც სწორედ ისე, როგორც ჰოლკის სალდათებს. შორიდან გეგონებად ინგლისის ჯარი წითელ მუნდირებით მწკრივად გამოჭიმულა.

კუმბოლდტი მოგვითხრობს, რომ ერთხელ ანგოსტურის მცხოვრებლებს, ფლამინგოებმა საშინელი თავ-ხარი დასცესო. ის იყო ქალაქი ააშენეს და საიდანაც, შორიდან ფლამინგოები გამოჩნდნენ. იმათ არ ენახათ ჯერ ეს ფრინველები და ასე ეგონათ, რომ ინდოეთის ჯარები კვიპირობენ თავსე დასხმასო. ანგოსტურლების შიში მხოლოდ მაშინ განქრა, როდესაც დაინახეს, რომ მოლანდებული სალდათების ჯგუფი ჰაერში ავიდა და ორინოკო მდინარისკენ გაფრინდა.

ფლამინგოებმა უფრო მაშინ იციან სალდათებივით და-მწკრივება, როცა საჭმელს ეძებენ გუბეების ლაშში. სასაცილოა იმათი ნადირობა. ღია ჰირით მიაქვთ სვე წყალში და ლაშში და თან ფეხებით უმარჯვებენ, რომ ღია ხაში ბლომად ჩაცვივდნენ თევზის ჭიჭუნები, ან სხვა რამ წვრილმანი ცხოველები.

როცა მთელი გუნდი ფლამინგოებისა, ან თევზსე ნადირობს ან ჰძინავს, მაშინ როგორც ნამდვილი სალდათები ფლამინგოებიც ისე იქცევიან. რამდენიმე ფლამინგო

კარშემო დარაჯობს და ეველა მხრისკენ გაფაციცებოთ ადვენებენ თვალებს, აცა მტერი ხომ არ მოდისო. საკმაო დარაჯებმა საიდანმე შიშის ეჭვი აიღონ, მაშინვე სრინწიანი ხმით ერთი კი დაიკვილებენ და მთელი გუნდი ფლამინგოებისა ჰყარში ადის. ამიტომაც ნადირობა ამ ფრინველებზე მეტად ძნელია, რადგან ვერას გზით ვერ მოახერხებთ, რომ ფსახელმა დარაჯებმა თოფის სროლის მანძილზე მიგიკაროთ.

ახლა დაუბრუნდეთ ფლამინგოს ოჯახობას. აბა, ერთი სურათს დახედეთ და ფლამინგოების ბუდეს დააკვირდით, სწორეთ, რომ უცნაური რამ ბუდეები იციან. აკერ, ბუნრის ქუდივით აწოწილი ჰდგას ფლამინგოს ბუდე და შემოდან ჩაღრმავებულში კვერცხები უწევიათ. დედალი ფლამინგო მივა ხოლმე და შედ ბუდეზე გადაბოტებს, თითქო კაცი ვირზე შემჯდარა და ფეხები კი მიწაზე უდგასო.

ბუდეს ფლამინგო მიწიდან ანუ ტალახიდან აშენებს, ან შივ წყალში ან სადმე გუბეების ნაპირას.

აკერ დასცქერდით დედალ ფლამინგოს, ბუდეზე გადაბოტია, კრუსათ ზის და თან ლახლანდრობს კიდევ — კძელი კისერი გველივით ათას ნაირად დაუკლანჯავს და ფრთას ქვეშიდან ცალი თვალით გამოიყურება.

სახოგადოთ ძლიერ საინტერესო ფრინველია ფლამინგო და სწორედ რომ ღირს მისი ზნე-ჩვეულების დაწვრილებით შესწავლა, მაგრამ სამწუხარო ის არი, რომ კაცს ახლო არ იკარებს და თუ აქამდე მცნირებმა იციან რამე ამ ფრინველზე, იხიც იმიტომ, რომ შორიდან დურბინდებით დაუთვალიერებიათ.

სამსონ ძლიერი



ველ დროში, სანამ ქრისტე დაიბადებოდა, მარტო ურიებს ანუ ებრაელებს სწამდათ ქვემარტი ღმერთი, სხვა ხალხები კი ყველანი კერპებსა სცემდნენ თავიანთს. ამიტომაც ღმერთი უფრო ურიებს ჰყვარებდა და შეელოდა ხოლმე. მაგრამ უსჯულო მეზობელი ხალხი ურიებს ძლიერ ემტერებოდა და მოსვენებას არ აძლევდა. ყველაზე უფრო აწუხებდა და აწვალებდა იმათ ფილისტიმელები. ერთხელ, როცა ფილისტიმელებმა ძლიერ შეაწუხეს ურიები, ისინი ღმერთს შეევედრნენ და თხოვეს შეველა. ღმერთმაც შეისმინა მათი ვედრება.

იმ დროს მათ ქვეყანაში ერთი უშვილო კაცი ცხოვრებდა, რომელსაც მანოი ერქვა. ამ კაცს შვილი არ ჰყავდა და ამიტომ ის და მისი ცოლი ეხვეწებოდნენ ღმერთს, ერთი შვილის ღირსი გაგზავნილიყო. ღმერთმა შეისმინა მათი ხვეწნა და მიჰცა მათ ერთი ვაჟი. ერთხელ მანოის ცოლს გამოეცხადა ანგელოზი და ახარა, ვაჟი დაგზავნილიყო. მაგრამ ამას გარდა ისიც უბრძანა, არამც და არამც შენს შვილს არც თმა გაკრიჭო და არც ღვინო ასვაო. როცა მანოის და მის ცოლს ვაჟი მიეცათ, სახელად სამსონი დაარქვეს. მისი მშობლები ღვთის ბრძანებას მტკიცედ ასრულებდნენ: სამსონს არც თმას კრეჭდნენ და არც ღვინოს ასმევდნენ.

როცა სამსონი გაიზარდა, იგი ისეთი საკვირველი ღონიერი კაცი გამოდგა, რომ ზღაპრადაც არ გაგონილა. აი, მაგალითად ერთხელ მან რა ჰქნა. ჯერ სულ ახალგაზდა ქაბუკი იყო და ისა და მისი დედ-მამა გზაზე მიდიოდნენ. სამსონმა გზიდან ტყეში გადუხვია. ამ დროს მოულოდნელად ერთი ღომი შეეფეთა წინ. სამსონი არ შეუშინდა, სტაცა ხელები ყურებში გახლიჩა და სული გააფთხობია.

სამსონს ძლიერ უყვარდა თავისი ხალხი, ძლიერ სწუხდა, რომ ფილისტიმელები ისე აწუხებდნენ ურიებს და სულ იმის ფიქრში იყო, როგორმე ეშველა მათთვის. ღვთის განგებით ის ურიებმა თავიანთ უფროსად ანუ მსაჯულად ამოირჩიეს და ღმერთიც სამსონის შემწყვეტილი და მოწყალე იყო. ამ დროდან დაწყებული სამსონი შე-

იქნა ფილისტიმლების მოსისხარი მტერი. ფილისტიმელებიც, რასაკვირვლია, მუდამ იმას ცდილობდნენ დაეღუპათ როგორმე სამსონი.

აი, ერთხელ რა ოინი უყო სამსონმა ფილისტიმელებს: დაიჭირა სამასი მელა: მიაბა ორ-ორი ერთმანეთს კუდით-კუდებზე კიდე თითო მოკიდებული კერანი მიაკრა, გაუშვა ფილისტიმელების ყანებში და სულ ერთიანად გადაბუგა, ფილისტიმელებმა სხვა რომ ველარა გააწყეს რა, მოუკიდეს ჩუმად ცეცხლი მის სიმამრის სახლს და გადაწვეს. სამსონის ცოლიც ცეცხლში დაიწვა.

ერთხელ ფილისტიმელებმა მიუგზავნეს კაცი ურიებს და შეუთვალეს, თუ სამსონი არ შეკარით და ისე არ მოგვეცით, ჯავრს თქვენზე ამოვიყრითო. ურიებმა ეს ამბავი სამსონს შეატყობინეს. სამსონმა ნება მისცა ურიებს, შემკარით და ისე მიეცით ჩემი თავი ფილისტიმელებსაო. ურიები მართლა ასე მოიქცნენ. ფილისტიმელებმა რომ შეკრული დაინახეს სამსონი, სინარული მოერიათ და კიჟინი მორთეს. მაგრამ მალე გადაექცათ სინარული ტირილად. როცა სამსონს ფილისტიმელები შემოერტყენ გარს, სამსონმა გაიქნია ხელები, სულ ლუკმა-ლუკმად აქცია ბაწარი, წამოაელო ხელი გამხმარ ვირის ყბას, რომელიც იქ ეგდო მინდორში, დაიფრინა ფილისტიმელები. ფილისტიმელებმა მოჰკურცხლეს, მაგრამ მაინც ათას კაცზე მეტი ამოწყვიტა.

თუმცა სამსონი ღეთის კაცი იყო, მაგრამ ერთი შეცდომა მოუვიდა. მას შეუყვარდა ერთი ფილისტიმელი ქალი და ცოლად შეირთო. როცა სამსონი საცოლოს დასანიშნავად მიდიოდა, იმ გზაზე გაიარა, სადაც ერთხელ ლომი მოკლა. მოუწდა მისი ნახვა და მივიდა იმ ადგილს, ნახა, რომ ლომის გამხმარ თავში ფუტკარს თავლი გაეკეთებია. გამოიღო თაფლი და შეჭჭამა. ქორწილის ღამეს, როცა ღზინი გაიმართა, სამსონმა უთხრა ფილისტიმელ ყმაწვილებს: „ერთ გამოცანას გეტყვით და თუ შეიდ დღეში გამოიცინობთ, ოცდაათ ხელ ტანისამოსს ზოგცემთ, თუ არა და, თქვენ მომეცითო.“ ისინიც დათანხმდნენ და შეკრეს პირობა. აი, რა გამოცანა მისცა იმათ სამსონმა: „მჭამელისაგან გამოვიდა საქმელი, ხოლო ძლიერისაგან გამოვიდა ტკბილი.“

ფილისტიმელებმა ბევრი იფიქრეს, დიდხანს თავი იმტერიეს, მაგრამ მაინც ვერ გამოიცინეს. მერე მივიდნენ ჩუმად სამსონის ცოლთან და უთხრეს თუ არ გავვიგე, რას ნიშნავს შენი ქმრის მოცემული გამოცანა და არ გვითხარი, იცოდე ცეცხლს წაუკიდებთ მა-



მიშენის სახლსო. სამსონის ცოლიც შეშინდა და ჩააცივდა ქმარს, თუ გიყვარვარ, მითხარი, რას ნიშნავს ის გამოცანაო. სამსონს ახლად შერთული ცოლი ძლიერ უყვარდა და უარი ვეღარ უთხრა. მაგრამ რა იცოდა, თუ ცოლი უღალატებდა. ვადაზე ფილისტიმელი ყმაწვილები მხიარულად მივიდნენ სიძესთან და მოახსენეს: „რა უნდა იყოს თაფლზე უტკბესი და ლომზე უძლიერესიო“. ახლა-კი მიხვდა სამსონი, რომ ცოლმა უღალატა, მაგრამ რაღა დროს, ნიძლევიც წააგო და სანეძლეოც გადინადა, მაგრამ ეს სანაძლეოც სხვა ფილისტიმელებს წაართვა.

სამსონი გაუჯავრდა ცოლს და თავი დაანება. მაგრამ ის მაინც კიდევ დედაკაცმა დაღუპა, მეორეთაც მან ერთი ფილისტიმელი ქალი შეერთო. ფილისტიმელები სულ იმას ცდილობდნენ, გაეგოთ, რაში ჰქონდა სამსონს ისეთი საშინელი ღონე. სხვაფრივ რომ ვერ შეუტყეს, მივიდნენ ჩუმად სამსონის ცოლთან დალილასთან, და შეეხვეწნენ: შეგვიტყევე როგორმე, რაში აქვს შენს ქმარს ისეთი ღონეო. ეს ბოროტი დედაკაციც შეუჩნდა ეშმაკივით სამსონს, და მოსვენებას აღარ აძლევდა, გამიმხილე, რაში გაქვს ისეთი ღონეო. სამსონმა ბევრჯერ მოატყუილა ცოლი, არ უნდოდა გაემხილა, მაგრამ რაკი არ მოეშვა და თავი მოაბეზრა, სამსონიც გაუტყდა და უთხრა: „მე ღონე თმებში მაქვსო“.

დალილამ მაშინათვე აცნობა ფილისტიმელებს. ერთხელ როცა სამსონს დაეძინა, მიეპარენ ჩუმად და მოკვეცეს თმა. მაგრამ ხელის მოკიდებას მაინც ვერ უბედავდნენ, ეშინოდათ ტყვილი არ იყოსო. როცა სამსონს გამოეღვიძა, ნახა, რომ ღონე სრულიად დაკარგოდა, მაშინვე გახარებული ფილისტიმელები დაეცნ თავს, შეუკრეს მაგრად ხელები, დასთხარეს ორივე თვალები და საპყრობილეში ჩააგდეს. აქ სამსონს დიდხანს აწვალდნენ.

გავიდა რამდენიმე დრო. სამსონს თმა გაეზარდა და ღონეც ცოტ-ცოტად დაუბრუნდა. ფილისტიმელებმა ეს ვერ მოისაზრეს. ერთხელ მათი კერპის დღესასწაული იყო და ფილისტიმელებმა ერთ უზარმაზარ დარბაზში დიდი ღხინი გამართეს. მთელი იქაური დიდ-კაცობა იქ იყო შეკრებილი. ვინც დარბაზში არ დაეტია, ბანებზე იყვნენ და იქ ქეიფობდნენ.

კარგად რომ გადაჰკრეს, სამსონი მოაგონდათ, გაგზავნეს საპყრობილეში კაცი და მოაყვანინეს. დაღეული ხალხი დასცინოდა სამსონს

შანს უგებდენ და აწვალებდენ. გული რომ იჯერეს მიიყვანეს სვეტებთან დააყენეს- მთელი დარბაზი ისე იყო აშენებული, რომ იმ სვეტებზე იყო დამყარებული. სამსონმა იგრძნო, რომ სვეტებთან იდგა. იფიქრა, ახლა მაქვს დრო და გადაწყვიტა ფილისტიმელების ჯაგრის ამოყრა. ერთბაშად მოაეღო ორივე ხელები სვეტებს, მოსწია და მოგლიჯა. დარბაზმაც იგრიალა და სულ ერთიანად დაიქცა. რაც დარბაზში და ბანებზე ხალხი იყო სულ ამოსწყვიტა. სამსონ ძლიერიც, ცხადია, შიგ მოჰყვა.

ასე და ამნაირად ამოიყარა სამსონმა ფილისტიმელების ჯაგრი.

წელსუბელი




კალიის ამბავი



ანა კალიასე მავნე მწერი იქნება-ღა ქვეყანასე? რამდენ მწვანე ბალახით, ჰურით, სიმინდით და ფეტვით მოსილ, ათასფერად შემკულ მინდვრებს ატიტვლებს და აოხრებს და საწვალ მსუნელ-მთესველსაც აღონებს და ატირებს ეს კალია. დიას, ამისთანა შეუბრალებელი მტერი კაცს არ ეოლებ. ან კი რა დაუშავა კაცმა კალიას, რომ ამდენ კაცის ნა-

შრომ-ნაღვაწს აოხრებს? საწვალმა გლეხმა რის ტანჯვით მიწა მოხნა, დათესა და დაფარცხა; გასაფხულსე შეჭნარის შეენიერად აბიბინებულ ჯეჯილებს. იმედი აქვს კარგი მოსავლისა; უხარია—ცოლ-შვილსაც გამოვკვებამ და სოფლის ეველს გადასახადსაც მოვიძორებო, მაგრამ ეველს იმედი უცრუვდება და ეანას მტერი მიადგება. უცბად დამხეს, კალია გაჩნდა და ხალხსაც შაუდვა ერთი ზრინტელი-აღიაქოთი: არიქა კალია გაჩენილა, ბეგარა დავიძახოთ, კალიას ეველს ვეომოთ და დავსოცოთო, ურმებზე სავალს და ბარკს უდებენ და დიდი თუ ჰატარა, ზოგი ბარით და ნიხბით, ზოგიც წერაქვით და ნავთით მიდიან შორს, შირაქის მინდვრებზედ კალიის გასაწვევად. (მთელი ქიზიუის ხალხი შირაქის მინდვრებსა ჭხნავენ და

თუ კალია არ გახნდა, კარგ მოსავალსაც შეიკრებენ; მაგრამ კალიის დროს კი ცარიელები რჩებიან. როგორც ფიცხი ადგილი შირაქის მინდვრებში ხშირად იცის კალია). იქაურ მინდვრის მოსავლის აოხრებას ხომ აღარა ჩივის კაცი, ეშინათ სოფელში არ ეწვიონ ეს უსისხლო, შეუბრალებელი მტრები და შინაური ბაღჩა-ესო-ყურეც არ აუოხრონ. აგერ, მივიდა ხალხი მინდორში და კალიის ჯარის რაზმებიც წინ დაუსვდა. შეიქნება საშინელი ომი — ომი აქეთ სამ გვარ კალიებთან. ერთი რიგობა ჰატარა კალია შავად მოდებულა მინდორზე, დასწოლია და არ იძვრის. მეორე რიგობა უფრო მოხდილები ახტიან და დახტიან, ერთ ადგილს არ დგებიან. მესამე რიგობაც კალიისა — ფრთებ გამოსხმულები, ჩიტვით დაფრინავენ და



ხალხს თავზე დასტრიალებენ. რომელ ერთ კალიის ჯარს ეომოს და სძლიოს კაცმა?? ვუელახე ადვილად დასამარცხებლები ეს ახლად გამოჩეკილები, უფესო და უფითო კუტი კალიანი არიან. ამათ მინდვრის შუა გულ ადგილას გველ სამარე-არსს უთხრიან, მერე აქეთ-იქიდან ნიხბებით და გველი ცოცხებით ესვეტებიან კალიებს, სამარე-არსში ფრიან. ნავთს ასხმენ, ცეცხლს უკიდებენ, სწვავენ და ბოლოს ზევიდან მიწას აურიან. ეს ერთი რიგობა




კალიებისა როგორც იყო მოიძორეს, ასლა მეორე რიგობასთანა აქვთ დიდი ომი, — ამათი მიწაში ჩაურა და დამარხვა ადვილი არ არის; ამათ ცოცხლებს ვერ ჩაჭურის კაცი სამარეში, თუ ჯერ რიგინათ არ ეომა, ცემა-ტეპით არ დაასუსტა, რომ ვედარ შესძლოს ძაღლა-ძაღლა შორს გადასტემა. ბოლოს როგორც იყო ამ კალიის ჯარსაცა სძლია კაცმა და წესისამებრ გაჭრილ, გამხადებულ არსში მიაბარეს მიწას... ზოგსაც, თუ წელიწადის ახლოს იქნებიან მდინარე იორში ჭურთან — ჭკონიანთ თუ დავანრჩობთო, მაგრამ თურმე ამ დასაქცევებსაც ცოდნათ ცურაობა. თუძცა ბეგრი მათგანი იხრჩობა, მაგრამ ბევრიც ისევე უოხდათ გამოდის ნაზირას... ესენიც, როგორც იყო მოიძორეს, მაგრამ საქმე იმ მესამე რიგობის ფრთებიან მტერის დამარცხებაა და! აბა რა ქნას კაცმა. იმდენი თოფის წამალი მინც მისცათ, რომ ჭაერში ესროლონ თოფი და ისე დახოცონ, თორე ჯოხებით და ფიხებით რას გააწეობენ; მაგრამ აქაც ღმერთია შემწე კაცისა, თუ კაცი ვერ მოერიო ფრთებიან კალიის ჯარს, მაგიერ ღმერთს გაუჩენია ერთგვარი, ჩიტსე უფრო მოხდილი ფრინველი, რომელსაც „ტარბს“ უწოდებენ. ეს ტარბი კიდევ ამ გვარის ფრთებიანი კალიის მტერია და დამამარცხებელი. აკურ საიდანლაც გაჩნდა ტარბი, დაეცა ამ მოფრინავე კალიის რაზმს და კუდით ქვა ასროლინა; რომელსაც ჩაჭურა თვისი მოკრძელო ნისკარტი სულ ეირა-ეირა ატარა, როგორ თუ თქვენ ასე უღმერთოდ და შეუბრალებლად გოგინას ეანა დაამხეთო და დაღუპეთო; რაღა ჭქნას საწეაღმა გოგინამ, რითღა გამოკვებოს თავის ცოლ-შვილიო, ერთი ღლის ეანა უღვა და ისიც თქვენ მოუჭამეთო?!. ამ გვარად გაჯა-

ვრებული ტარბის რაზმი ჩიტ-კალიის რაზმს ქლევას და ხალხიც განარებული იმათ სეირს უმხერს. დასოცილი კალიები ძირს მიწასე ცვივიან და ტარბნიც გამარჯვებულნი სევიდან ასსდებიან... ეს სწორედ ღვთის განგებაა — ღმერთს რამდენი მტერი გაუჩენია კაცისთვის, იმდენი მოკეთე. ეს დასოცილი ტარბი რომ არ გაეჩინა ღმერთს, ხომ ეს ჩიტ-კალიები კაცსაც შეჭამდენ, თორემ მოსავლის შეჭმას ვინლა ჩივის. მოდი და წმიდა ფრინველათ ნუ ხათვლის კაცი ტარბს! მოდი და ამას შემდეგ კაცმა ტარბს თოფი ესროლოს და მოჰკლას! როგორ შეიძლება! — განა მოკეთეს კაცი ვად უნდა მოექცეს? სრულიადც არა — ტარბი კაცის ძიარველია და იმ კაცს მარჯვენა უნდა მოსტედეს, რომელიც ტარბს თოფს ესვრის. — გათავდა ომი და ხალხიც გამარჯვებული შინისკენ ბრუნდება; მოდიას თავჩადუნულები — რამდენათაც კალიის დასოცვა უხარიათ, იმდენად მინდვრის მოსავალ ჭირნახულის დაღუპვა სწეინთ და ედარდებათ. იმ წელიწადს მოუსავლობისა გამო უძვირდებათ ჰური და უძნელდებათ ცხოვრება.

ასლა კი ჭკუა ისწავლეს სოფლელებმა და ამბობენ: საგანისოდ ეარაული დავაყენოთ მინდორშიო; თუ ვანიცობაა კიდევ განხდა სადმე კალია, მაშინვე მივატანოთ, ჰატარებს ადვილად დავსოცავთ. თუ დაიხარდენ, ჯეჯილებსაც ისევ აგვიოხრებენ და ჩვენ უფრო გაგვამწარებენო... აკი დასოცეს კალია, საიდან-ღა უნდა განხდეს? — მართალია დასოცეს, მაგრამ კიდევ დარჩათ კანტი-კუნტათ აქა-იქ ცოცხალი კალიები — თუძვა ოთხ კვირასე მეტი ვერ ცოცხლეს, მაგრამ დედალ კალიებმა უკანა იარაღით მიწა

ამოთხარეს, შივ სამოცამდე ჰურის მარცვლის ოდენა თესლები ჩაეარეს და შემდეგ თითონაც შედ დაისოცენ. სამთარში ეს კვერცხები მიწაშია და თუ გასაფხულის ნიაღვრებმა არ წაღეკა, სიცხესე კვერცხებიდან გამოიჩეკებინ ჭიანჭველის ოდენა კალიები, რომლებიც შემდეგში იხდებიან, ჩიტის ტოლებიც ხდებიან და ბოლოს ზევით კიამბეთ როგორც სიმშილობას ჩამოაკდებენ.

თომა ასათიანი





მონადირე.

ქველს დროში ერთს ემაწვილ მებატონეს სული მი-
სდიოდა მარჯვე მონადირის სახელისათვის. მაგრამ,
მის საუბედუროდ, შვილდ-ისარის ხმარება და ნადირობა
სრულიად არ ესწრებოდა. რაც უნდა ახლო მანძილიდან
ესროლა ისარი ნადირისათვის, უთუოდ ააცდენდა.

ამ ემაწვილს ჭეაჳდა ერთი შინაჳმა გიგუა. რომელიც
ყოველთვის თან დაჭეაჳდა სანადიროთ. გიგუა საოცარს
სიმარჯვეს იჩენდა ნადირობაში: რაც უნდა შორიდან ამო-
ელო მიხანში ნადირი, ისარს არ ააცდენდა. მაგრამ ეს
თავისი იშვიათი სიმარჯვე გიგუას სულ არაფრად მია-
ჩნდა. თავისი ბატონის საამებლად ნანადირევესედ ყოველ-
თვის ამბობდა: სულ ჩემი ბატონის დასოცილიაო. ბა-
ტონი ცას ეწეოდა სიხარულით და თავს იწონებდა ტოლ-
ამხანაგებში თავისი მარჯვე ნადირობით...

ერთხელ ბატონი თავის შინაური ემით სანადიროთ
წავიდა. მალეა მთაზე დაინახეს გადმოძვარი შუენიერი
ხარ-ირემი დიდრონი რქებითა. ბატონმა ესროლა შვილდ-
ისარი; მაგრამ ისე შორს ააცდინა, რომ ნადირმა ვერას-
ფერი შეიტყო და უურიც არ გაიბერტყა. ახლა ამოიღო

მისანში გიგუამა, სტუორცნა ისარი და შიგ კულში გაუ-
რჭო ირემსა. ირემი დაეცა მიწასე და სული დალია.

ირემი საღამოსე შინ მოიტანეს ურმითა. ბედად, სტუ-
მრები ბევრი ეწვია ჩვენს მონადირეს და მათთან იგი
ირმის მოკვლას ჩემულობდა და კვესულობდა. დასხდენ ვა-
ხშამსე და შეექცეოდენ სხვა-და-სხვა გემრიელს საჭმელსა,
ირმის წვადებსა და კულებით არაკრაკებდენ წითელს ღვი-
ნოსა. გიგუა კი საცაღა კუნჭულში იჯდა და ვახშამად ჰქო-
ნდა მიტანილი მჭადი და ცივი წებლი. საწეალს თვალე-
ბი ებრიცებოდა მდიდარი სუფრისაკენ. ბოლოს თამადად
წარმოსთქვა ხელეორედ: ღმერთმა კიდევ და კიდევ გაუ-
მარჯოს ჩვენს მასწინძელსა და ბევრი ხარ-ირემი მოა-
კვლევინოს თავისი შეუდარებელი მარჯვენითაო. მასწინძე-
ლმა თავ-მოწონებით გადაუხადა მადლობა, მოიყუდა კუ-
ლა და წითელს ღვინოს საამური რაკრაკი დააწეებინა.

გიგუამ ვედარ მოითმინა, წამოხტა თავის ადგილი-
დან და აღელვებული ხმით დასხალა კამძანიასა: „ვინ
მოკლა ხარი-ირემი, ვინ არაკრაკებს კულასაო“.

აკობ სვიმონიძე



კ ლ ე ხ ი და ს ი კ ვ დ ი ლ ი

(ესოპის იგავ-არაგნი)



როსელ მოსუცმა კლესმა ტეეში შემა მოსჭრა, შე-
კრა, გაიდო მხარსე და კენესით შეუდგა შორ კვა-
სა. რა დაიღალა, ტვირთი მიწასე დაახალა და სიკვდილი
ინატრა.

უცებ სიკვდილი გამოეცხადა და შეეკითხა კლესსა:
„რისთვის მისმეო?“

კაქეს სიცოცხლე, კლესმა უცებ იკადრა გადათქმა და
ასე უზახუნა სიკვდილსა:

— მისთვის, რომ ერთი, გეთაუვა, ეს ტვირთი ამიწიო
და მხარსე გამადებინო.


სიცოცხლე მწარეც ისე ტებილია, რომ კაცი მას ვერ
შეღეკია. ცოცხალი ძალი, ამბოჯენ ბრძენნი. შეკვდარ
ლომსე უძჯობესიაო.

ლეღვანარელისა

ს ა შ ი შ ი მ ე ზ ო ბ ე ლ ი

ღისიკოს მიუკრავს გულსე აღუბალი და შიძით შე-
სცქერია მესობლის ბიჭს—სანდროს.

სანდრო სულაც არ აზირებს აღუბლის წართმევას,
მხოლოდ ძალიან კი მოუნდა იმის შეჭმა.



ან დ ა ზ ე ბ ი

ყმაწვილს რომ კაკალს მისცემ, იმის გასატეხიც თან უნდა გაატანო.

(წარმოდგენილი ივ. გრიგოლიძისაგან)

ვინც მონასტერს გაიზარდის,
 მან იხილოს ღეთისა პირი,
 ვინც რომ გარეთ გაიზარდის,
 ან ლომი და ანა გმირი,
 ვინც რომ შინა გაიზარდის,
 ან ძროხა და ანაც ვირი.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ჯერე ღეთისა ბძანებითა, მერე კაცის გონებითა,
 თხა და ძროხა დამძობილდენ ღორის შუამავლობითა.

ერთი რამ არის უსულო, მდებარე მუცელ-ყელითა,
 წყალი სწყურია—ვერა სემს, სხვანი ჩასხმენ ხელითა,
 ლაპარაკობს და არ ისმის, არა სჯულისა ენითა,
 თავზედაც ცეცხლსა მოიდებს, კაცსა ააყვებს ღხენითა.

არ ვიცი და არც მინახავს

(წარმოდგ. სათავად აზნაურო სკოლის მოწაფე დიმიტრი ანდრონიკაშვილის)
 ევა ვეისა, ხტომა ღვეისა,
 სიჭრელე ვეფხისა, ხმა როსტომისა.

ს ა ლ ხ უ რ ი

(პისგანვე წარმოდგენილი)

წმინდა გიორგის კარზედა დაეაღულუნე სტეირია;
ქალი ბევრი ვათამაშე მარიამი და თინია.

ამომავლო ღრუბელო, გადამიტანე თანაო;
მთას იქით ჩემი მოყვარე, მიმაგდე იმასთანაო

(ჩაწერილი თ. რაზიკაშვილისაგან)

მაისმა თქვა: სახლს ვაშენებ,
ჩამიყრია საძირკველი;
კაცი რო მზეს გაუწვება,
მაშინ გაუთბება წელი.
ეს თიბათვე მობძანდება,
ცოტად არის პურად ძვირი,
დამიძახეთ ვაჟკაცებსა,
ცვლებს წამოაელონ ხელი,
თივა ბევრი გამითიბონ,
სამყური და ლალის ფერი.

ზ მ ა

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

თუ თავსა რაცხავ მწერალად, დასწერეთ ელიზბარზედა,
ლეკურით არის ნაქები, მე ვათამაშო თარზედა.
ვილხინოთ ია ვარდებით, გამოდი ლაღო კარზედა,
ვითამ არ იცო, რა ღლეა, რომ იქიმები მხარზედა?
ხედავ აღდგომა თენდება, მტერი გვიკვდება ჯავრზედა.

აკროსტიხი

(წარმოდგენილი მისგანვე)

ა ტყდა ყველგანა ზართა წკრიალი,
 ღეთისა გალობით ქება დიდება,
 დიდი პატარა სინარულითა
 გარბის საყდარში, მიესწრაფება.
 ოჰ, რა ღამეა, რა დღე თენდება,
 მარხულობაცა გაგვიხსნილდება,
 ამიტომ ეხარობთ ყველანი გულით,
 ამიტომ გული გვიხალისდება,
 ქვეყანაც ხარობს მომავალითა
 როს მდგლო მწევანით შეიმოსება
 იგია ჩვენი დიდი იმედი
 სამშობლოც ამ დროს აგვიყვავდება,
 ტახტა დაიდგამს ბუნება მდიდარს,
 ერთად ყველასთვის გაზაფხულდება,
 საქმით რომელიც შრომას გაგვიწევს
 იგი იქნება, ის ამაღლდება.


(მისგანვე)

ის იყო, კაცი ქართველი,
 ის იყო, გულით ქებულა
 კალმისა მონა მსახური,
 ერთგული თავდადებული,
 რედაქტორობით მოღვაწე
 ერისგან დაეწყებული
 სიბერემ უსწრო, ღარიბად
 ესოდენ გამწარებული,
 ლუკმის ნატრული მოგვიკვდა
 ის, ღეთისგან მირონ-ცხებული.
 ძეგლიც არ გვიღირსებია,
 ესრედ გვყავს დაეწყებული,

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი მისგანვე)

პირველი არის ფრინველი: ცხვირ-კევა შესაზარია,
მეორე მხოლოდ სიტყვაა, თანხმობის მინაგვარია.
თითონ რაც არის, ყველას გვაქვს, სათქმელად მრავალ-გვარია.
წარმოსადგენი ბევრ გვარად, ვხედავთ და უჩინარია.
ზოგჯერ საზარი, მეღვარი, ზოგჯერ სამო, წყნარია.
მგოსანთ მასალა პირველი, საკვირველ-საოცარია.
ღლე, ღამე, ბინდი, რიჭრაჭი, განთიადს ნამი, ცვარია.
მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ღრუბლები, წვიმა ქარია,
ელვა და ქექა-ქუხილი, სეტყვა და ნიაღვრია,
ხან ახალ-გაზდა, ღამაზი, ზოგჯერ მოხუცად მდგარია.
ხან მოჩანს მწვანე ზურმუხტად მინდორი, მთა და ბარია,
ზოგჯერ მტერია ქვეყნისა, უმეტეს მეგობარია.





რ ე ბ უ ს ი

(ლექსი)

(შედგენილი მოსე თ—ძისა)


ჴ (ფუფის-პირის)
ქლაქი




ქლაქი
ქლაქი
ქლაქი
(საქმიელი)




ქლაქის
სახელი



ქლაქი
ქლაქი
ქლაქი
(საქმიელი)



ქლაქი



ქლაქი
ქლაქი
ქლაქი



1/3 საყ.




ქლაქი

გაგორდა
(სახელი ხისა)



ე



ის
მს
ბს



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

ვლად



(რით იტანდება
ბაროტი გაცი)
სეპლით მთ



ს



ბ

(ეგვიის ჩხვილი)

ა

(ჩის სეველი)

ბ

(ლოყას რისი
ეშინია?)



გ


100,
100,



ვლად




ვლად



ვლად

(ქალის სასელო)

ვლად



ს

100,

ვლად



ვლად

(საბატონო გადასახადი)

ვლად



ს

ვლად



ვლად



ვლად




ვლად

(30 ვლად)

ს

ვლად

ვლად



ვლად



ვლად

(ქრის და)

ვლად




ვლად

ვლად



ვლად



(ქრის და)

ვინც ამ რებუს გამოიყნობს თიბათვის პირველამდის მიიღებს
ჯილდოთ ჩვენის პოეტის თ. აკაკის დიდ სურათს 1 მანე-
თად ღირებულს.



№ II გამოცანების ახსნა

1) კნა; 2) ყვერული; 3) კარანდაში.

ზმა 1) ძროხა, ციგა, ციხე, ხევი. 2) ილია, ივერია, რაუფელი ერისთავი. მთლად ნიშნავს „საქართველოს“.

ანაგრაძმა. —აი—ია. შუაში რომ ჩაუმატოთ ს —გამოვა ასი. — ისა.

მატემატიკური გამოცანა 1) $882, 5+9+4=18.$

$$\begin{array}{r} -288 \\ \hline 594 \end{array}$$

<p>2) 1) 8</p> <table border="1" style="margin: auto;"> <tr><td>8</td></tr> <tr><td>2 4 2</td></tr> <tr><td>4 4</td></tr> <tr><td>2 4 2</td></tr> <tr><td>8</td></tr> </table>	8	2 4 2	4 4	2 4 2	8	<p>2) 9</p> <table border="1" style="margin: auto;"> <tr><td>9</td></tr> <tr><td>3 3 3</td></tr> <tr><td>3 3</td></tr> <tr><td>3 3 3</td></tr> <tr><td>9</td></tr> </table>	9	3 3 3	3 3	3 3 3	9	<p>3) 10</p> <table border="1" style="margin: auto;"> <tr><td>10</td></tr> <tr><td>4 2 4</td></tr> <tr><td>2 2</td></tr> <tr><td>4 2 4</td></tr> <tr><td>10</td></tr> </table>	10	4 2 4	2 2	4 2 4	10	<p>4) 11</p> <table border="1" style="margin: auto;"> <tr><td>11</td></tr> <tr><td>5 1 5</td></tr> <tr><td>1 1</td></tr> <tr><td>5 1 5</td></tr> <tr><td>11</td></tr> </table>	11	5 1 5	1 1	5 1 5	11
8																							
2 4 2																							
4 4																							
2 4 2																							
8																							
9																							
3 3 3																							
3 3																							
3 3 3																							
9																							
10																							
4 2 4																							
2 2																							
4 2 4																							
10																							
11																							
5 1 5																							
1 1																							
5 1 5																							
11																							

24 კაცი ეზვენა 24 კაცი ეზვენა 24 კაცი ეზვენა 24 კაცი ეზვენა
 32 კაცად 36 კაცად 40 კაცად 5ს 44 კაცად

აკროსტიხი. 1) იესო ქრისტე. 2) გაზაფხული, შაზადა. სიმინდი.

რეზუსი. კაცის მიერ შექმნილია, უქაროდ არ ირყევიან, ანათებს ვითომ ვარსკვლავი სანამდინ დაილევინ, ზეცას ღეთაება ქვე კაცნი ყველანი ეტანებიან და ვინც მას შეეხებიან უკანვე დაიხევიან. (სანთელი)

გამოცანები, აკროსტიხი, ანაგრამა და შარადა ახსნა სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფემ რამან ყაერიევმა.

რეზუსი ახსნა რაქაში მოსწაფლემ ანნა ჯოხაძემ.

მატემატიკური გამოცანა ახსნა გორის სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასის მოწაფემ თედო ცინცაძემ.





ჯეჯილი

წალიწადი მახუთა

გამოდის 1894 წელსაც ორ თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

„ჯეჯილიში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო გამოცანები, იგავეები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ქურნალში მონაწილეობის შიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენში საუკეთესო მწერლებმა.

ქურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—3 მან., ტფილისს გარშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისს ბათუმს და გორში,—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით. ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая у.л., д. Зем. Банка № 102), „ქართულ სახალხო სამკეთხველოში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Большая Воловозная у.л., д. № 22 Айвазов').

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძესთან, ღმ. ბაქრაძის სახლში.

3) გორში—ზ. დავიდოვთან.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

5) თელავში—მ. ცისკარაშვილის აფთიაქში.

6) საჩხერაში—ქარამან ჩხეიძესთან.

7) ბაქოში—მს. ამაშუკელთან.

8) შვირილაში—თ. ხუსკივაძესთან.

ფოსტის აღრესი: *Въ Тифлисъ въ редакцію грузинскаго мѣсячнаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.